

# ხანდაზმულთა მენთაღური პრობლემების იდენტიფიცირება და მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში

## შინაარსი:

- ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების ასაკობრივი თავისებურებები
- ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასება
- ფსიქიკის დარღვევის დიფერენციული დიაგნოზი გერიატრიულ პრაქტიკაში
- ხანდაზმულებში განსაკუთრებით ხშირი ფსიქიკური დარღვევების დიაგნოსტიკა და მართვის თავისებურებები:
  - დემენციის დიაგნოსტიკა და მართვა
  - დელირიუმის დიაგნოსტიკა და მართვა
  - დეპრესიის დიაგნოსტიკა და მართვა
- დანართები:

დანართი № 1 – მინი-ფსიქიკური მდგომარეობის გამოსაკვლევი ტესტი  
დანართი № 2 – სკრინინგული ტესტები, რომელთა საფუძველზე ხერხდება იმ პაციენტების იდენტიფიცირება, ვისაც შეიძლება შემდგომი გამოკვლევები დასჭირდეს  
დანართი № 3 – დეპრესიის გერიატრიული სკალა  
დანართი № 4 – ხანდაზმულებში დეპრესიის სამკურნალო ძირითადი პრეპარატები

## სახელმძღვანელოს მიზანია:

ბოგად საექიმო პრაქტიკაში ხანდაგმულთა მენთალური პრობლემების ადრეული იდენტიფიცირებისა და სათანადო მართვის უზრუნველყოფა

## გაიდლაინში გამოყენებული პირობითი აღნიშვნები და მათი მნიშვნელობა:

- |     |   |
|-----|---|
| Iა  | რანდომიზებული საკონტროლო კვლევების მეტა-ანალიზის საფუძველზე მიღებული მეცნიერული მტკიცებები.   |
| Iბ  | სულ მცირე, ერთი რანდომიზებული კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული მტკიცებები.   |
| IIა | სულ მცირე, ერთი კარგად ორგანიზებული არარანდომიზებული საკონტროლო კვლევის საფუძველზე მიღებული მეცნიერული მტკიცებები.  |
| IIბ | მეცნიერული მტკიცებები, მიღებული, სულ მცირე, ერთი სხვა ტიპის კარგად ორგანიზებული ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე.  |
| III | მეცნიერული მტკიცებები, მიღებული კარგად ორგანიზებული, არაექსპერიმენტული აღწერილობითი კვლევების, როგორიცაა მაგ. შედარებითი კვლევები, კორელაციური კვლევები და კლინიკური შემთხვევების შესწავლა, საფუძველზე. |
| IV  | ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფების მოსამრება და/ან კლინიკური გამოცდილება.  |

## I. ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების ასაკობრივი თავისებურებები

### 1.1. ხანდაგმულთა ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების ზოგადი მახასიათებლები

ფსიქიკური ჯანმრთელობა განსაბღვრავს ადამიანის უნარს, მართოს და გადალახოს ცხოვრებისეული სირთულეები და შეინარჩუნოს ემოციური სტაბილურობა. მოხუცი პიროვნება იმ გამოცდილების წყალობით, რომელიც მან განვლილი ცხოვრების მანძილზე შეიძინა, ამ მდგომარეობას უფრო ითლად აღწევს. ხანდაგმულ ასაკში ადამიანს ნაკლებად უჩნდება ილუბია იმის თაობაზე, თუ ვინ არის ახლა ან ვინ იქნება მომავალში. ეს უპირატესობა არ ნიშნავს, რომ მოხუცებს არ აღენიშნებათ ფსიქიკური სფეროს პათოლოგია. ახლობლის ან სამსახურის დაკარგვა და ამ ასაკში წარმოქმნილ სხვა ცხოვრებისეულ სირთულეებთან დაკავშირებული უარყოფითი ემოციები აღემატება პიროვნების ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ ენერგიას, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური სფეროს პათოლოგიის ჩამოყალიბებას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის დამკვიდრება, პრობლემის გამოვლენა ადრეულ ეტაპზე და უკვე არსებული ფსიქიკური პრობლემის უარყოფითი ზეგავლენის მინიმუმამდე შემცირება—ეს, სწორედ ის ამოცანებია, რომელიც წარმატებით შეიძლება განხორციელდეს ზოგადი საექიმო პრაქტიკის პირობებში.

ხანდაგმულ პაციენტთან ურთიერთობისას და მისი გასინჯვისას, საჭიროა, ყურადღება მიექცეს პაციენტის აზრებს, გრძნობებსა და გარკვეულ სიმპტომებს, რაც, შესაძლოა, ფსიქიკური სფეროს პათოლოგიის მაჩვენებელი იყოს (იხ. ცხრილი 1).

სამწუხაობა, ხშირად არასწორად ფასდება მოხუცი პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა. ბევრი არაპროფესიონალი და, ზოგჯერ, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ხანდაგმულ ასაკში ადამიანის ხასიათისა და მისი ქცევის შეცვლას, უბრალოდ, „ასაკობრივ ნორმად“ მიიჩნევენ. ძალიან მნიშვნელოვანია რეალური და არარეალური პრობლემების კარგად გაგება და ერთმანეთისაგან გამიჯვნა.<sup>1</sup>

### 1.2. ინტელექტი

ხანდაგმული ადამიანის შემეცნებითი ფუნქციები მკვეთრად ინდივიდუალურია და მისი თანდაყოლილი, გენეტიკურად განპირობებული თვისებებით, ჯანმრთელობის მდგომარეობითა და კონკრეტული პიროვნების უნიკალური ცხოვრებისეული გამოცდილებით განისაზღვრება. ასაკის მატებასთან ერთად, თავის ტვინში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები ხდება, მაგრამ ის, თუ რა კავშირშია ორგანული ცვლილებები ფუნქციურთან და/ან ასეთი ურთიერთკავშირი საერთოდ თუ არსებობს, მაინცდამანც გასაგები და კარგად შესწავლილი არ არის. მაგ. ინტელექტის დაქვეითება არ არის ასაკთან დაკავშირებული ნორმალური მოვლენა და ეს ზოგჯერ ფიზიკური ან ფსიქიკური დაავადებითაა განპირობებული.<sup>2</sup>

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად კარგადაა შესწავლილი მოხუცი პაციენტის ინტელექტუალური შესაძლებლობები. ეს ნებისმიერი გაუარესების დროულად გამოცნობის საშუალებას იძლევა.

ცხრილი № 1

**ნიშნები ან სიმპტომები, რაც ფსიქიკური სფეროს პათოლოგის მანიშნებელი შეიძლება იყოს**

<b>ნიშანი ან სიმპტომი</b>	<b>მიზეზი ან ხელშემწყობი ფაქტორები</b>
ფიზიკური დატვირთვის აუტანლობა	დეპრესია, დაბალი მოტივაცია, ემოციური გადაძაბვა, დაღლილობა, გარკვეული მედიკამენტები
შფოთვა	პიროვნული ღირსების დაკარგვის საფრთხე
დიარეა	შფოთვა, გარკვეული მედიკამენტები, სტრესი
პაციენტი უჩივის დისკომფორტს, რაც გამოწვეულია, მაგ. ტკიფილით	პიპერაქტივობა, ემოციური გადაძაბვა, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობა
სიტყვიერი კომუნიკაციის გაუარესება	შფოთვა, ეჭვიანობა, შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება
პაციენტის უჭირს პირადი პრობლემების გადაჭრა	სტრესი, ორგანიზმის ფუნქციონირების ცვლილება (ჟარყოფითი), საკუთარი თავისი მიმართ პატივისცემის დაკარგვა (თვით კრიტიკის დაქვეითება), სხვაზე დამოკიდებულება, ემოციური გადაძაბვა, ახლობლის დაკარგვა
პაციენტის აქვს სირთულეები ოჯახთან ერთიერთობაში	პაციენტი დამოკიდებულია ოჯახზე, ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტური ურთიერთობაში
პაციენტის შეტბოდებული აქვს სხვადასხვაგვარი საქმიანობის შესრულების უნარი	შესაძლოა განპირობებული იყოს ფიზიკური, ფსიქიკური ან სოციალური უუნარობით
შიში	ახალი გარემო ან ჩვეული გარემოს გაუკუდმართებული აღქმა, დანაკარგები
მწუხარება	სხეულის რომელიმე ორგანოს ან ნაწილის, ფუნქციის, სოციალური როლის ან ახლობლის დაკარგვა
პაციენტის აღარ აქვს საკუთარ ჯანმრთელობაშე ზრუნვის სურვილი	შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება, დაბალი მოტივაცია, გაუკუდმართებული აღქმა, დეპრესია
პაციენტი აღარ ცდილობს ოჯახური პრობლემების (ყოველდღიური საოჯახო საქმიანობა, სახლის დალაგება, საყიდლებები) სიარული და ა.შ.) მოვკარებას	შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება, დაბალი მოტივაცია, გაუკუდმართებული აღქმა
ტრაგმატიზაციის მაღალი ალბათობა (ან ტრავმის ნიშნები)	შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება, დაღლილობა, მედიკამენტები, სუიციდის განწყობა
მობილურობის შეტბოდება	მედიკამენტები, დაღლილობა
პაციენტი არ ასრულებს დანაშეულებას	შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება, პაციენტის არ სურს ან არ შეუძლია დანაშეულების შესრულება, სუიციდის მცდელობა.
ცვლილებები კვების რეჟიმში: პაციენტი იღებს იმაზე ნაკლებ საკვებს, ვიდრე სჭირდება	დეპრესია, სტრესი, პარანოია, შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება, უმოძრაობა, სუიციდური განწყობა
ცვლილებები კვების რეჟიმში: პაციენტი იღებს იმაზე მეტ საკვებს, ვიდრე სჭირდება	დეპრესია, შფოთვა, შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება, უმოძრაობა
უძალობა	პარანოია, დეპრესია, უუნარობა, სტრესი
ძილის მოშლა	შფოთვა, პარანოია, დეპრესია, კონფუზია, მედიკამენტები
სოციალური ურთიერთობების გაუარესება	სხეულის ფუნქციონირების შეცვალა, შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება, აგრენება, დეპრესია, გაუკუდმართებული აღქმა, პარანოია
სოციალური იზოლაცია	აგრენება, დეპრესია, პარანოია, შემეცნებითი ფუნქციის გაუარესება.

**1.3.მექანიზმება**

ასაკის მატებასთან ერთად უარესდება ხანმოკლე მეხსიერება. გრძელვადიანი მეხსიერება შენახულია, ანუ ხანდაგმული ადამიანისათვის რთულია ახალი მოვლენების დამახსოვრება და ახალი პრობლემის მართვა, ხოლო მეხსიერება კარგად ინახავს წარსელის მოვონებებს და უკვე ერთხელ განცდილი პრობლემის გადაჭრის უნარს. მეხსიერების შემოწმება სამი კომპონენტის შეფასების საფუძველზე ხორციელდება: მყისიერი გახსენება (მაგლილთად, ექიმის მიერ ჩამოვლილი რიცხვების გამეორება), ხანმოკლე მეხსიერება (ხაზვენების საგნის ან ხერათის

ხანდაგმულებში შენთალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მართვის გაიდლანი თჯახის ექიმებისათვის გახსენება რამოდენიმე წეთის შემდეგ), ხანგრძლივი მეხსიერება (წარსულის ეპიზოდების გახსენება).

#### 1.4. პიროვნელი თვისებები

პიროვნელი თვისებები ასაკთან ერთად არ იცვლება. ადამიანი არ შეიძლება გახდეს მორცევი, მორიდებული, აგრძისული ან ჭირვეული უბრალოდ იმის გამო, რომ ბერდება. ასეთი ცვლილებები, თუ ისინი აღინიშნება, პათოლოგიის მაჩვენებელია.

### II. ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასება

ფსიქიკური სფეროს ფუნქციონირების შეფასების მნიშვნელობა ასაკის მატებასთან ერთად იმდება. ეპიდემიოლოგიური მონაცემებით, ფსიქიკის სხვადასხვა ხარისხით მოშლა 65 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა 5-10%-ს აღენიშნება, 75 წლის ზემოთ კი-დაახლოებით, 20%-ს; ზოგიერთი ავტორის მონაცემებით, დემენციის ნიშნები უვლინდება 85 წლის ასაკს გადაცილებულ პირთა, დაახლოებით, 47%-ს.<sup>3</sup>

ხანდაგმულებში დაავადებათა აფიპიური მიმდინარეობის გამო ხშირად რთულდება ამა თუ იმ პათოლოგიის, მ.შ. ფსიქიკური სფეროს დაავადებათა იდენტიფიცირება. ფსიქიკური მდგომარეობის რეგულარული შეფასება რეგისულ ვიზიტებზე ხელს უწყობს დარღვევათა დროულ გამოვლენას და სათანადო რეაგირების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

ფსიქიკური სფეროს მდგომარეობის შეფასება პაციენტთან პირველი კონტაქტისთანავე იწყება. ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს:

#### ჩაცმულობა

- აცვია თუ არა პაციენტს სებონის შესაფერისად? სუფთა და მოწესრიგებულია ფანსაცმელი?
- აქვს თუ არა თმა სუფთა და დავარცხნილი?
- ხომ არ შენიშნეთ უცნაური ან ბედმეტად გამომწვევი სამკაული ან თმის სამაგრი?

#### მოძრაობა

- ხომ არ არის მოძრაობა პიპერ ან პიპოაქტიური? ტრემორი?

#### სახის გამომეტყველება

- ნიღბისებური ან ბედმეტად დრამატული, ხომ არ გამოხატავს სახე ტკივილს, შიშს ან სიბრაზეს?

#### შემეცნება

- კონტაქტში შესვლა გაძნელებულია და პაციენტს თითქოს «ზეზეულად» ძინავს (ლეთარგია);
- პაციენტი იძლევა არასრულ ან დაგვიანებულ პასუხს და სჭირდება განმეორებით შეკითხვა (სტუპორი)
- პაციენტი რეაგირებს მხოლოდ ტკივილის გამდიგიანებელზე;
- პაციენტი არავითარი რეაქცია არ აღენიშნება ტკივილზეც კი.

პირველი შთაბეჭდილების შემდეგ დამატებით ინფორმაციას მოგცემთ ხმის ტონი, მეტყველების სისტრაფე, ჟესტიკულაციის მანერა, უცნაური სიტყვები ან სიტყვების კომბინაცია, რამდენად შეეფერება პაციენტის საუბრის თემა შექმნილ სიტუაციას. ამ დროს შეგიძლიათ შეაფასოთ ხასიათიც.

დემენციაზე საეჭვო შემთხვევაში პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებისათვის ფართოდ იყენებენ ფოლშტეინის მიერ მოწოდებულ მინი-ფსიქიკური მდგომარეობის გამოსაკვლევ ტესტს (დანართი 1). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ტესტის ჩატარება დიდ დროს მოითხოვს და ხშირად საქმაოდ რთულდება დაბალი ინტელექტისა და განათლების პაციენტებში. აღტერნატივის სახით მოწოდებულია შედარებით იოლად შესასრულებელი, მაგრამ საკმაოდ ეფექტური სკრინინგული ტესტები, რომელთა საფუძველზე ხერხდება იმ პაციენტების იდენტიფიცირება, ვისაც შემდგომი გამოკვლევები შეიძლება დასჭირდეს.<sup>4</sup> ამ ტესტების შესრულების გექნიკა და მნიშვნელობა წარმოდგენილია დანართი 2-ში.

### III. ფსიქიკის დარღვევის დიფერენციული დიაგნოზი გერიატრიულ პრაქტიკაში

ხანდაგმული პაციენტის ფსიქიკის დარღვევის მიზეზი უამრავია. დიფერენციული დიაგნოზი მოიცავს:

- თავის ტვინის პათოლოგიას (მაგ. ინსულტი, დემენცია);
- დაავადებებს, რომლებიც ხანდაგმულ ასაკში შეიძლება ატიპიურად (ფსიქიკის მოშლით) გამოვლინდეს (მაგ. ინფექცია, მეტაბოლიზმის დარღვევები, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის უკმარისობა);
- სენსორული ფუნქციის დარღვევას (მაგ. სმენის ან მხედველობის დაქვეითება);
- მედიკამენტების და ალკოჰოლის მოქმედების შედეგების გათვალისწინებას.

უხშირესად ფსიქიკის დარღვევა მულტიფაქტორული ბუნებისაა. გერიატრიულ პრაქტიკაში ფსიქიკის დარღვევის შემთხვევები შეიძლება პირობითად სამ ჯგუფად დაიყოს:

1. ფსიქიკის მწვავე მოშლა, დაკავშირებული მძიმე დაავადებასთან, მედიკამენტის მიღებასთან, გარემოს ფაქტორებთან;
2. ფსიქიკის შედარებით ნელა პროგრესირებადი დარღვევა (დემენცია, ამნეზიური სინდრომი);
3. ფსიქიკის დარღვევა ასოცირებული ფსიქოზთან და აფექტურ მდგომარეობასთან.

ფსიქიკის დარღვევის დიაგნოსტიკისათვის მიზანშეწონილია სამი პრობლემის გარკვევა:

- დაიწყო თუ არა ფსიქიკის დარღვევა მწვავედ (მაგალითად, რამდენიმე საათის ან დღის წინ);
- არსებობს თუ არა ფიზიკური ფაქტორები (მაგალითად, მძიმე სომატური დაავადება, სენსორული დარღვევები, მედიკამენტები), რომლებსაც შეეძლოთ გამოქვიათ ფსიქიკის მოშლა;
- არსებობს თუ არა ფსიქიკის მოშლის გამომწვევი ფსიქოლოგიური ფაქტორები (მაგ. სტრესი, სტრესორების დარღვევა და სენსორული დეპრივაცია).

ფსიქოლოგიური სტატუსის გარკვევის შემდეგ უნდა მოხდეს პოტენციურად განკურნებადი მდგომარეობების იდენტიფიკაცია და მათი გამიჯვნა ფსიქიკის შეუქცევადი მოშლისაგან.<sup>5</sup>

### IV. ხანდაგმულებში განსაკუთრებით ხშირი ფსიქიკური დარღვევების დიაგნოსტიკისა და მართვის თავისებურებები

#### 4.1. დემენციის დიაგნოსტიკა და მართვა

დემენცია-კლინიკური სინდრომია, რომლისთვისაც დამახასიათებელია გონებრივი ფუნქციის (ინტელექტის) და მეხსიერების მნიშვნელოვანი დაქვეითება. მეხსიერებისა და აბროვნების უნარის გაუარესება ექვსი თვის ან უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე გრძელდება და იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზეგავლენას ახდენს პაციენტის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამას ხშირად თან ახლავს ემოციური კონფრონლის დაქვეითება, სოციალური ქცევის, მოტივაციის, უმაღლესი კორტიკალური ფუნქციებისა და პერსონალური თვისებების თანდათანობითი შეცვლა. შემცინებითი ფუნქციები დემენციის შემთხვევაში ფორმალურად შენარჩუნებულია (ნათელი შემცინება გულისხმობს სწორ ორიენტაციას ადგილში, დროში, გარემოსა და საკუთარ თავში, რაც დემენციის დროს შენაბულია).

გარკვეული ხარისხით გამოხატული დემენცია აღენიშნება 65 წლის გემოთ ასაკის პირთა 5%-ს, 75 წლის გემოთ 10%-ს, ხოლო 85 წლის გემოთ ეს მაჩვენებელი 20%-მდე იმდენი დარღება.<sup>6,7</sup>

დიაგნოსტიკისა და კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ხანდაგმულებით მიმართებაში დემენცია შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს:<sup>5</sup>

1. შექცევადი ან ნაწილობრივ შექცევადი დემენცია;

2. შეუქცევადი დემენცია.

დემენციის გამომწვევი შესაძლო მიზებები შექცევადობის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილი № 2-ში.

დემენციაზე საეჭვო ნებისმიერ შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს მისი გამომწვევი მიზები, რომელიც შექცევადია (ანუ ექვემდებარება მკურნალობას), და ამის შესაფერისად ჩამოყალიბდეს მდგომარეობის მართვის გეგმა.<sup>8</sup>

შეუქცევადი დემენციის მიზეზები	შეუქცევადი დემენციის მიზეზები
<p>ავთვისებიანი სიმსიგნები მეტაბოლური დარღვევები ენდოკრინული დარღვევები: ჰიპოთირეოზი ჰიპერთირეოზი ჰიპერგლიკემია ჰიპოგლიკემია ტრავმა ინტოქსიკაცია: ალკოჰოლიზმი, მდიდარ ლითონებით მოწამვლა, ორგანული შხამებით მოწამვლა ინფექციური დაავადებები: აუტომუნური დარღვევები: ცენტრალური ნერვული სისტემის ვასკულიტი ტემპორალური არტერიიტი სისტემური წითელი მგლურა გაფანტული სკლეროზი მედიკამენტები კვებითი დარღვევები ანემია</p>	<p>ცნს-ის დეგენერაციული დაავადებები: ალციჟიმერის დაავადება ლეიის სხეულაკებთან ასოცირებული დემენცია პიკის დაავადება პანგინგრონის დაავადება პროგრესირებადი სუპრანუკლეარული დამბლა პარკინსონის დაავადება ვასკულარული დემენცია: გიდ თავის ტენის სისხლძარღვთა ემბოლია არტერიიტი ტრავმა კრანიოცენებრული ტრავმა <i>Dementia pugilistica</i> ინფექცია: შეძენილი იმუნოდეფიციენტის სინდრომი ოპორტუნისტული ინფექცია გრეიველდ-ჯეკომის დაავადება პროგრესირებადი მულტიფორმულური ლეიიონენცეფალოპათია პოსტენცეფალიტური დემენცია</p>

- ალცენიმერის დაავადება დემენციის ყველა შემთხვევათა 60%-ს შეადგენს,<sup>9</sup> დანარჩენი წარმოდგენილია ვასკულარული დემენციის, შერეული ტიპის დემენციის (ვასკულარული და ალცენიმერის დაავადების ერთდროული მანიფესტირება) და ლევის სხეულებთან ასოცირებული დემენციის შემთხვევათა სახით.
- დემენციის დიაგნოსტიკას აითლებს შემეცნებითი ფუნქციების შეფასების სტანდარტული ტესტი (იხ. დანართი 1).<sup>10</sup>
- დემენციის გამომწვევი მიზების იდენტიფიცირების მიზნით რეკომენდებულია შემდეგი სახის გამოკვლევები:

- სისხლის ბიოქიმია-შარლოვანა და ელექტროლიტები, ლიმფის ფუნქციები, გლუკოზი პლაზმაში (შესაძლოა შესრულდეს პირველადი ჯანდაცვის დონეზე);
- სისხლის საერთო ანალიზი და ერთოროციტების დალგექის სიჩქარე (შესაძლოა შესრულდეს პირველადი ჯანდაცვის დონეზე);
- სისხლში B 12 და ფოლის მუავას დონჯ-საეჭვო შემთხვევაში, რეკომენდებულია მიმართვა სპეციალიზებულ კლინიკაში;
- ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციები (T4/TSH) (შესაძლოა შესრულდეს პირველადი ჯანდაცვის დონეზე);

5. **ხიხლი ვახერმანხა და შიდეზე** (ანალიზი შესაძლოა შესრულდეს პირველადი ჯანდაცვის დონეზე). დაღებითი პასუხის შემთხვევაში რეკომენდებულია მიმართვა სპეციალიზებულ კლინიკაში;
6. **გულმერდისა და თავის ქალას რენტგენოგრაფია-გადაწყვეტილება** ამ გამოკვლევების ჩატარების შესახებ მიიღება კლინიკური სიტუაციის ანალიზის საფუძველზე;
7. სხვა გამოკვლევები იგეგმება ანამნეზური და კლინიკური მონაცემების მიხედვით.

- ამდენად, დემენციის შემთხვევაში ზოგადი საექიმო პრაქტიკის პირობებში ბაზისური გამოკვლევები მოიცავს სისხლის საერთო ანალიზსა და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების შესწავლას. შარდის შეუკავებლობის შემთხვევაში, შარდის ანალიზიც უნდა ჩატარდეს (მაღალია საშარდე ტრაქტის ინფექციების აღმოცენების რისკი). ფიზიკალური მონაცემებით, მნიშვნელოვანია ინტერკურენტული დაავადების არსებობის და ნევროლოგიური პათოლოგიის დადგენა. ამის შესაფერისად იგეგმება სხვა ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები ან პაციენტი, პირდაპირ, სპეციალიზებულ კლინიკაში იგზავნება.
- ხშირად, ალცენიმერის დაავადებასა და დეპრესიას შორის დიფერენცირება რთულია. შეფასებულია, რომ პაციენტების 15%, რომლებსაც დაესვათ ალცენიმერის დაავადების დიაგნოზი დაავადებული იყვნენ დეპრესიით. პაციენტებში, ალცენიმერის დაავადებით, ხშირად დეპრესია ვლინდება, როგორც მისი კლინიკური სიმპტომი. დემენციასა და დეპრესიული ფსევდოდემენციას შორის დიფერენცირების მიზნით, რეკომენდებულია საჭვრო შემთხვევებში ანგილიერესიული მედიკამენტების დანიშვნა. დეპრესიული ფსევდოდემენცია, განსხვავებით დემენციისაგან, საკმაოდ წარმატებით ექვემდებარება ანგილიერესიულ მედიკამენტურ მკურნალობასა და ფსიქოთერაპიას.<sup>11</sup>
- შემეტნებითი ფუნქციების უეცარი დარღვევებისას საჭიროა პაციენტის გაგზავნა სპეციალისტთან (იხ დელირიუმის დიაგნოსტიკისა და მართვის გაიდლაინი).
- თითოეული პაციენტისათვის უნდა შემუშავდეს მოქმედების ინდივიდუალური გეგმა. ნათლად განისაზღვროს ის, თუ ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ავადმყოფის მოვლასა და ხანგრძლივ მეთვალყურეობაზე.
- განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა ესაჭიროებათ პაციენტის მომვლელებს. დაეხმარეთ მათ საქველმოქმედო და მოხალისე თრგანიზაციებთან დაკავშირებაში. თბილისში არსებობს: 1. ხანდაბმულთა სოციალურ-კულტურული ცენტრი – „შეხვედრების სახლი“ (ნეცენდიდის 187 ა); 2. „თერაპიის სახლი“, რომელთა ბაზაზე ფუნქციონირებდა მომვლელთა სკოლა, (გურამიშვილის გამზ. 72);

### რეკომენდაციები დემენციის ყველაზე ხშირი მიზეზების დიაგნოსტიკისათვის

- **ალცენიმერის დაავადება**
  - **ახასიათებს თანდათანობითი დახაცემისი, ვითარდება 45 წლის შემდეგ, ხოლო, უმეტესად, 65 წლის ზემოთ ასაკის პირებში; მიმდინარეობს პროგრესულად და შეუძლებელია. ოდნავ უფრო ხშირად აღინიშნება ქალებში, ვიდრე მამაკაცებში.**
  - **ალცენიმერის დაავადებისათვის რისკ-ფაქტორებია:**
    1. დემენციის ოჯახური ანამნეზი (კერძოდ, ალცენიმერის ტიპის დემენცია და-მებებში)<sup>12</sup>;
    2. დაუნის სინდრომი;
    3. ანამნეზში ტრავმა თავის არეში;
    4. ფარისებრი ჯირკვლის დაავადების ანამნეზი;
    5. სადღეისოდ არაიდენტიფიცირებული დაავადების განმაპირობებელი გენები.

- **ალცენიმერის დაავადების დამახასიათებელი ხუთი ძირითადი ნიშანი:**

1. **მებსიერების გაუარესება**-თავდაპირველად პაციენტს არ ახსოვს უახლოესი მოვლენები, რაც ახალი ინფორმაციის მიღების უენარობას უკავშირდება (ხანმოკლე მებსიერების გაუარესება). წარსული მოვლენების დავიწყება დაავადების უფრო გვიან სტადიაზე აღინიშნება;
2. **ენობრივი შესაძლებლობების გაუარესება**-ანომია ანუ „სიცყვის პოვნის პრობლემა“. მძიმე მოშლილობა ცედი პროგნოზის მაჩვენებელია;
3. **სივრცითი მხედველობის გაუარესება**-ამის მაგალითია ის, რომ დაავადებული პირი ხშირად ვერ იგნებს გზას კარგად ნაცნობ გარემოში;
4. **მოქმედების ინტერესის დაკარგვა**-ეს, შეიძლება იყოს ალცენიმერის დაავადება მეორადი დეპრესიით ან პირველადი დეპრესია მანიფესტირებული ალცენიმერის დაავადების სახით;
5. **იღუზიები და ჰალუცინაციები**- ცედი პროგნოზული ნიშანია.

- **ალცენიმერის დაავადების გუსტი დიაგნოსტიკა წარსულში შესაძლო იყო მხოლოდ პათანატომიური მასალის შესწავლით, ამჯამად მაგნიტურ-ბირთვული რეგონანსული გამოკვლევა ამის საშუალებას კლინიკურ პრაქტიკაში იძლევა. მეთოდის ფართოდ გამოყენება სიძირის გამო საკმაოდ შეგძლებულია. დიაგნოზის დასაბუთებლად რეკომენდებულია ფსიქიატრის ან გერიატრის კონსულტაცია.**

• **მულტი-ინფარქტული დემენცია**

- **გითარდება 45 წლის გემოთ, უმეტესად 65 წლის გემოთ ასაკის პირებში. ხშირად იწყება უეცრად და თან ახლავს ორკალური ნევროლოგიური დაბიანების ნიშნები. ოდნავ უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიღრე ქალებში. პაციენტს აღენიშნება კარდიო-გასკულარული დაავადებების ანამნეზი. გაუარესება ეტაპობრივია. გამოხატულია ჩვევებისა და პიროვნული თვისებების დეგრადაცია, რასაც არათანაბარმობიერი ხასიათი აქვს.**

• **ლევის სხეულაკებთან ასოცირებული დემენცია (Lewy body dementia)**

- **გამოხატულია ჰალუცინაციები და ბოდვა. შესაძლოა გამოვლინდეს უკურვაქცია ფენოთიაზინებგები.**

**მკურნალობა**

**ალცენიმერის დაავადება**

- **ალცენიმერის დაავადების სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც პირველად იქნენ ლიცენზირებულნი ამ მიზნით გახსავთ: **დონეპეზეტილით ჰიდროქლორიდი (Donepezil hydrochloride)** და **რივასტიგმინი (Rivastigmine)**. მათ იყენებენ მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ალცენიმერის დაავადების სამკურნალოდ. ასეთი სახის მედიკამენტური მკურნალობა გოგიერთ პაციენტში სიმპტომების დროებითი კონტროლის საშუალებას იძლევა.**
- **დონეპეზეტილი** ინიშნება ერთხელ დღეში ძილის წინ და არის დაკავშირებული საკვების მიღებასთან. არსებობს მისი 5 და 10 მგ-იანი აბები.
- **რივასტიგმინი** ინიშნება ორჯერ დღეში (დილით და საღამოს). საწყისი დოზა 3მგ. დოზა შეიძლება გაიზარდოს 6-12 მგ-მდე.
- **პრეპარატის დანიშვნა** და მკურნალობის რეკიმის შერჩევა და ნებისმიერი სახის ცვლილება, რომლის საჭიროება პაციენტის მდგომარეობის დინამიკური შეფასებით განისაზღვრება, უნდა მოხდეს ფსიქიატრის და/ან გერიატრის მიერ. მნიშვნელოვანია, რომ პაციენტები მომდევნო მეთვალყურეობა განხორციელდეს სპეციალიზებული და პირველადი ჯანდაცვის სამსახურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით.

- სამწუხაოოდ, დღესდღეობით არ არსებობს ალციენიერის დაგვადების ან სიმპტომების პროგრესირების შეჩერების ან შეწყვეტის მეთოდი.


## მულტი-ინფარქტული დემენცია

- რისკ-ფაქტორების კონტროლი აუმჯობესებს შემცირებით ფუნქციებს და ამცირებს განმეორებითი ინფარქტის რისკს;
  - რისკ-ფაქტორებს მიეკუთვნება;
  - ჰიპერტენზია (რეკომენდებულია დიასტოლური წნევის შემცირება ვწყსვ-ს 90 მმ-მდე);
  - თამბაქოს მოწევა;
  - სიმსუქნე;
  - დიაბეტი.
  - რისკ-ფაქტორების კონტროლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმ პირებში, რომელთაც ანამნეზში აღენიშნებათ ინსულტი ან თავის ტვინის გარდამავალი იშემის ეპიზოდები;
  - კლინიკურად მანიფესტირებული მულტი-ინფარქტული დემენციის მართვის ძირითადი ასპექტები:
  - სპეციფიკური პრობლემის იდენტიფიკაცია და მისი მართვის სტრატეგიის განხაზღვრა (მაგ. შარდის ან განავლის მუკუავებლობა, პროგრესირება-გახსოვდეთ, რომ შესაძლოა მდგომარეობას ამძიმებდეს რაიმე თანმხლები პათოლოგია)
  - არსებული ფუნქციონალური მდგომარეობის შენარჩუნება;
  - პაციენტის მოვლის უბრუნველყოფა და არაფორმალურ მომვლელებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება.
  - მედიკამენტური მკურნალობის მიზანია, ძირითადად, ქვევის კონტროლი და მწვავე გაუარესების მიზეზის აღმოფხვრაა;

ନେବେରୁଥିବା ପାଇଁବାକୁମୁଖ କାହାରେତିବୁ କାହାରେତିବୁ କାହାରେତିବୁ

სანდაზმული პაციენტი უნდა გაიგზავნოს საკონსულტაციოდ სპეციალისტთან (გერიატრი/ფსიქიატრი) ან სპეციალიზებულ კლინიკაში, თუ საჭიროა:

- დემონიაზე საეჭვო შემთხვევაში დიაგნოზის დაზუსტება;
  - დემონის შექცევადი ან განკურნებადი მიზეზების იდენტიფიკაცია და შესაფერისი მკურნალობის უზრუნველყოფა;
  - შეუქცევადი დემონის შემთხვევაში პაციენტის მდგომარეობის შეფასება და მედიკამენტური მკურნალობის საჭიროებისა და სათანადო რეკიმის განსაზღვრა;
  - პაციენტები ხანგრძლივი მეთვალყურეობის პროცესში აღმოცენებული ნებისმიერი გაუარესების (მაგ. სერიოზული ქცევითი დარღვევები) ან ახალი პრობლემის შეფასება და მართვა.



#### 4.2. დელირიუმი (მწვავე კონფუზია)

- დელირიუმი ფსიქიური მდგომარეობის მწვავე ან ქვემწვავე მომღაა, რომელიც საკმაოდ ხშირია გერიატრიულ პრაქტიკაში. იგი ხანდაგმულ პოპულაციაში, დაბალი დაბალი და 15%-ში აღინიშნება და 30%-ს აღწევს ხანდაგმულებში სამედიცინო პრობლემებით. პაციენტებში დელირიუმით მაღალია სიკვდილობის, ინსტიტუციონალიზაციისა და გართულებების მაჩვენებელი.<sup>13</sup>
- დელირიუმის ძირითადი მახასიათებლებია:
  - შემცნებითი ფუნქციების დარღვევა;
  - აზროვნების მოშლა;
  - ფსიქიკის დარღვევა სწრაფად ხდება (რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე);
  - სიმპტომატიკის ცვალებადობა;
  - ანამნეზური, სუბიექტური და/ან ობიექტური მონაცემების საფუძველზე, ჩვეულებრივ, დგინდება დელირიუმის სიმპტომების უშუალო კავშირი კონკრეტულ სამედიცინო პრობლემასთან, მედიკამენტის მოხსნასა ან ინფორმაციასთან.

დელირიუმის დიაგნოზი ემყარება აშშ-ის ფსიქიატრიის ასოციაციის მიერ შემუშავებულ სადიაგნოზო კრიტერიუმებს (1994):<sup>14</sup>

1. შემცნებითი ფუნქციის დარღვევა (დემორიენტაცია, ყერადღების კონცენტრირების უნარის დაქვეითება);
2. აზროვნების პროცესის მოშლა, მეხსიერების დაქვეითება, დემორიენტაცია, მეტყველების გაძნელება ენთბრივი სირთულის გამო, აღქმის დარღვევა, რაც არ იხსნება მანამდე არსებული დემენციით;
3. დისფუნქცია ვითარდება სწრაფად (რამოდენიმე საათსა ან დღეში). აღინიშნება დღის განმავლობაში დაგვადების სიმპტომების მერყეობა;
4. ანამნეზური, ფიზიკური და ლაბორატორიული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია დამტკიცდეს, რომ მენტალური დისფუნქცია ზოგადი სამედიცინო პათოლოგიის, რომელიმე მედიკამენტის მოხსნის ან ინფორმაციის შედეგია.

#### დიაგნოსტიკა:

- დელირიუმის დიაგნოსტიკისას აიოლებს გამარტივებული მენტალური ტესტის სკალა და მინი მენტალური ტესტი.<sup>15,16</sup> აღნიშნული ტესტების სერიული გამოყენება შესაძლებელს ხდის ახალგანვითარებული დელირიუმის გამოცნობას, თუმცა ეს არ იძლევა დელირიუმისა და შემცნებითი ფუნქციის გაუარესების გამომწვევი სხვა მიზებების დიფერენციული დიაგნოსტიკის საშუალებას; (III)
- ანამნეზური მონაცემები, რომელიც შეგიძლიათ პაციენტის მომვლელის ან ნათესავისაგან მიიღოთ, დახმარებას გაგიწევთ დელირიუმსა და დემენციას მორის დიფერენციულ დიაგნოსტიკაში; (IV)
- შემოკლებული მენტალური ტესტის სკალა (ტესტის შედეგი ნორმას სცილდება, თუკი 10 პასუხიდან არასწორია სამი და მეტი).

#### დელირიუმის დიფერენციული დიაგნოსტიკისას გასათვალისწინებელია:

- დემენცია;
- დეპრესია;
- ისტერია;
- მანია;
- შიბოფრენია.

მარტივი სკრინინგული ინსკრუმენტით (შემოკლებული მენთალური ტესტი) არ ხერხდება დელირიუმის დიფერენცირება მსგავსი სიმპტომპლექსის გამომწვევი სხვა დაავადებისაგან, მაგ. დემენციისაგან. დელირიუმის დემენციისაგან დიფერენცირების საუკეთესო გზა—პაციენტის ახლობლების გამოკითხვა—მნიშვნელოვანი ინფორმაციაა სიმპტომების პროგრესირების დინამიკის შესახებ. შემეცნებითი ფუნქციის სერიული შეფასება დელირიუმის დემენციისაგან დიფერენცირების საშუალებას იძლევა.<sup>17</sup>

## მაღალი რისკის პაციენტები

დელირიუმი შედარებით ხშირად ვითარდება პაციენტებში ტვინის ორგანული სინდრომით<sup>18</sup> ან დემენციით და, ხშირად, თან ერთვის ფსიქიკური სფეროს ისეთ პათოლოგიას, როგორიც დეპრესია.

დელირიუმის განვითარების რისკი მაღალია<sup>19</sup>:

- ხანდაგმულებში (ასაკი>80 წელზე);
- მძიმე ავალმყოფებში;
- პაციენტებში დემენციით;
- ფიზიკურად დაუძლურებულ პირებში;
- ინფექციური დაავადებებისა და დეპიდრატაციის შემთხვევაში;
- მხედველობის გაუარესებისას;
- პოლიფარმაციის შემთხვევაში;
- ალკოჰოლის ჭარბად გამოყენების შემთხვევაში.<sup>20</sup>

დელირიუმის გამომწვევე მიზეზებზე ყურადღების დროულად გამახვილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ეს, დელირიუმის პრევენციის, ხელოთ მისი განვითარების შემთხვევაში, ადრეული დიაგნოსტიკირებისა და ადეკვატური ჩარეგის ფონზე, გართულებებისა და ლეტალობის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.<sup>21,22,23</sup> (Iბ)

## დელირიუმის გამომწვევი მიზეზის იდენტიფიცირება:

ხანდაგმულებში დელირიუმის გამომწვევი უხშირესი მიზეზები შემდეგია:

- ინფექციური დაავადებები (მაგ. პნევმონია, საშარდე ტრაქტის ინფექციები);
- ნეიროლოგიური პათოლოგიები (მაგ. ინსულტი, სუბდურალური ჰემიატომა, ეპილეფსია);
- გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (მაგ. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი, გულის უკმარისობა);
- სასუნთქი სისტემის დაავადებები (მაგ. ფილტრის ემბოლია, ჰიპოქალია);
- ელექტროლიტური დისბალანსი (მაგ. დეპიდრატაცია, თირკმლის უკმარისობა);
- ენდოკრინული და შეტაბოლური დარღვევები (მაგ. კახექსია, თიამინის დეფიციტი, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია);
- მედიკამენტები (განსაკუთრებით საყურადღებოა პრეპარატები, რომლებიც ანტიელინერგიული გვერდითი ეფექტებით ხასიათდება, მაგ. ანტიდეპრესანტები, პარკინსონიზმის საწინააღმდეგო წამლები, სედაცივები);
- სხვა მიზეზები (ინფოქსიკაცია, სტერეოფონის მკვეთრი დარღვევა და ა.შ).

## ანამნეზი

სტანდარტული ანამნეზური ინფორმაციის გარდა, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სპეციფიკურ მომენტებზე, კერძო:

- სრული მედიკამენტური ანამნეზი (იმ პრეპარატების ჩათვლით, რასაც პაციენტი თვითხებურად, ექიმის დანიშნულების გარეშე იღებდა);
- ალკოჰოლის მოხმარება;

- ინტელექტუალური ფუნქციონირების ანამნეზი (მაგ. ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საქმიანობის შესრულების უნარი ადრე);
- ფუნქციონალური სტატუსი (ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის უნარი);
- კონფუზის დასაწყისი და მიმდინარეობის ხასიათი;
- მწვავე ან ქრონიკული კონფუზის ეპიზოდები წარსულში;
- სიმპომები, რომელიც დელირიუმის გამომწვევი ძირითადი მიზების იდენტიფიცირების საშუალებას მოგცემთ;
- სენსორული დეფიციტი;
- რას იყენებს პაციენტი სენსორული დეფიციტის კორეგირებისათვის (სასმენი აპარატი, სათვალე და ა.შ);
- ინფორმაცია სოციალური გარემოსა და პაციენტის შზრუნველობის შესახებ;
- უკვე დიაგნოსტირებული თანმხლები დავადება

**კონფუზიური პაციენტების უმრავლესობას არ შესწევს სრულყოფილი ანამნეზური მონაცემების გადმოცემის უნარი, ასეთ დროს მომვლელის (ან ახლობლის) დახმარებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. (IV)**

### **გასინჯვა:**

პაციენტს უნდა ჩაუტარდეს სრული ფიზიკალური გასინჯვა, კერძოდ, უნდა შეფასდეს:

- ნევროლოგიური სტატუსი;
- შემცნებითი ფუნქციები;
- ნეტრიციული სტატუსი;
- გამოხატულია თუ არა ცხელება (პირექსია);
- ხომ არ არის გამოხატული ალკოჰოლიზმის ან ალკოჰოლზე აბსტინენციის ნიშნები (მაგ. ტრემორი);
- შემცნებითი ფუნქცია სტანდარტული სკრინინგული ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა შემოკლებული მინი მენთალური ტესტი ან მინი მენთალური ტესტი;
- ყურადღება (მაგ. 7-ის სერიები ან უკუმიმდევრობით წელიწადის თვეების დასახელება).

### **გამოკვლევება:**

დელირიუმის შემთხვევაში გამომწვევი მიზების იდენტიფიცირების მიზნით რეკომენდებულია შემდეგი სახის გამოკვლევები:

- სისხლის საერთო ანალიზი;
- კალციუმის დონე სისხლში;
- შარლოვანა და ელექტროლიტები;
- დვიძლის ფუნქციები;
- გლუკოზი;
- ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციები;
- გულმკერდის რენტგენოსკოპია;
- ელექტროკარდიოგრამა;
- სისხლის ბაქტერიოლოგია;
- შარდის ანალიზი.

ანამნეზური და ფიზიკალური მონაცემების საფუძველზე შესაძლოა საჭირო გახდეს სხვა გამოკვლევებიც, კერძოდ:

- ელექტროენცეფალოგრამა;

- თავის კომპიუტერული ტომოგრაფია;
- B12-ისა და ფოლიუმმედისას დონე;
- არტერიულ სისხლში გაზების შემცველობა;
- მარდისა და ნახველის სპეციფიკური ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა;
- ლუმბარული ჰუნქცია.

### კომპიუტერული ტომოგრაფია (III)

მართალია, ხშირად დელირიუმი უკვე არსებული დემენციის ან ტვინის სტრუქტურული დაზიანების ფონზე ვითარდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კომპიუტერული ტომოგრაფიის რეაციული გამოყენება დელირიუმის მიზების დასადგენად გამართლებული არ არის და ეს მეთოდი მხოლოდ მაშინ უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც მაღალია ინგრაკრანიული დაზიანების არსებობის აღბათობა. კომპიუტერული ტომოგრაფია დელირიუმის მიზების ბუსტად დასადგენად რეკომენდებულია შემდეგ პაციენტებში :

- სახებეა ფოკალური ნევროლოგიური დაზიანების ნიშნები;
- კონფუზიას წინ უძლოდა თავის ტრავმა;
- კონფუზია განვითარდა დაცემის შემდეგ;
- სახებეა ქალასშიდა წნევის მომატების სიმპტომკოპლექსი.

### ელექტრონცეფალოგრამა (ეეგ)

მართალია, ეეგ დელირიუმის დროს უხშირესად პათოლოგიურია, მაგრამ მისი დიაგნოსტიკური ღირებულება დღესდღეობით ბოლომდე შესწავლილი არ არის. ეეგ მონაცემები, შესაძლოა, სასარგებლო იყოს შემდეგ შემთხვევებში (IV):

- დელირიუმის დემენციისაგან სადიფერენციაციოდ;
- დელირიუმის სადიფერენციაციოდ არაკონველსიური ეპილეფსიური სტატუსისა და ტემპორალური წილის ეპილეფსისაგან;
- დელირიუმის მიზები ფოკალური ინგრაკრანიალური დაზიანებაა და არა რაიმე ზოგადი მიზები.

### ლუმბალური ჰუნქცია

ლუმბალურ ჰუნქციას დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვს პაციენტებში, სადაც მაღალია მენინგიტის არსებობის აღბათობა (IV):

- მენინგიტის;
- თავის ტკივილისა და ცხელების შემთხვევაში.

### დელირიუმის მართვა

დელირიუმის მართვის ამოსავალი წერტილი მისი გამომწვევი მიზების კორეგირება ანუ ძირითადი დაავადების მკურნალობაა.

- აუცილებელია ამ მდგომარეობის გამომწვევი მედიკამენტის მიღების დაუყოვნებელი შეწყვეტა (თუკი ეს შესაძლებელია);
- სასწრაფოდ უნდა მოხდეს ბიოქიმიური ძვრების კორექცია;<sup>24</sup>
- ინფექცია ყველაზე ხშირადაა დელირიუმის განვითარების მიზები. ინფექციაზე ეჭვის შემთხვევაში (მაგ. პათოლოგიური ცვლილებები შარდში, ფილტვის აუსკულტაციით დადგენილი ცვლილებები), მნიშვნელოვანია შესაფერისი ბიოლოგიური მასალის აღება ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის და ანტიბიოტიკობის დანიშვნა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

ძირითადი დაავადების მკურნალობასთან ერთად მნიშვნელოვანია კონფუზის/დელირიუმის სიმპტომების შემსუბუქებაც.

პაციენტი უნდა მოთავსდეს კომფორტულ გარემოში. იდეალურ შემთხვევაში მასზე მზრუნველობას მრავალდისციპლინარული გუნდი უნდა ახორციელებდეს. (Ib)

შესაფერისი გარემო გულისხმობს:

- კარგ განათებას;
- ორიენტაციის სტამულირების მიზნით რეგულარული და განმეორებითი მხედველობითი და ვერბალური სიგნალების ზემოქმედებას;
- პაციენტისა და მისი მომვლელისათვის ნებისმიერი პროცედურის თაობაზე მოკლე და გასაგები განმარტების მიცემას;
- ხელმისაწვდომი უნდა იყოს სენსორული დამხმარე აპარატები;
- ერთდეთ პაციენტის გადანაცვლებას ოთახში ან ოთახიდან ოთახში; (IV)
- ნუ შეცვლით მომვლელებს;
- ერთდეთ პაციენტის მოძრაობის ხელოვნურ შეზღუდვას (მაგ. დაბმას ან სხვა ბარიერების გამოყენებას); (III)
- აუცილებელია ძილის ნორმალური რეჟიმის აღდგენა ან შენარჩუნება;
- აუცილებელია ფრთხილი და გულისხმიერი დამოკიდებულება;
- არ დაუშვათ მოულოდნელი ან გამაღიზიანებული ხმაური;
- მიაქციეთ ყურადღება განავლისა და შარდის გამოყოფის ფუნქციებს (ყაბბობა და შარდის შეკავება მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ხანდაგმული ავადყოფის ფისიკაზე და, შეიძლება, ამ უკანასკნელის მწვავე მოშლაც კი გამოიწვიოს);
- ბოგჯერ, აქიზირებულ პაციენტს ამშვიდებს მეგობრებისა და ნათესავების ნახვა, ასე, რომ მათი ვიზიგი სასურველია, თუმცა სტუმრების მოწვევამდე აუცილებელია კონფუზის ბუნების დადგენა და პაციენტის კომუნიკაციის უნარის შეფასება.

## სედაცია

დელირიუმის გამოწვევა შეუძლია ნებისმიერ სედაციურ საშუალებას, მაგრამ ეს განსაკუთრებით ხშირია ანგიქოლინერგული გვერდითი ეფექტების მქონე პრეპარატების გამოყენებისას (მაგ. თიორიდაზინი, ქლორპრომაზინი და ა.შ.), ამდენად, დელირიუმის მართვისას სედაციური საშუალებებისა და დიდი გრანკვილიბატორების მოხმარება მაქსიმალურად ფრთხილად უნდა მოხდეს (III). ხანდაგმულების უმრავლესობას დელირიუმის პოპორაქტიური ფორმა უყალიბდება და მათი სედაციის აუცილებლობა არ არსებობს.<sup>25</sup>

დელირიუმის აღრეული დიაგნოსტირება და გამოწვევი მიზების კორეგირების/ელიმინაციისაკენ მიმართული დროული მკურნალობის ფონზე დელირიუმის სიმბიმე და ხანგრძლივობა მცირდება. მედიკამენტური სედაცია შესაძლოა საჭირო გახდეს შემდეგ შემთხვევებში:

- თუ აუცილებელია გარკვეული გამოკვლევების ან სამკურნალო პროცედურის ჩატარება;
- პაციენტი იმდენად აქიზირებულია, რომ საფრთხეს უქმნის საკუთარ თავსა და გარშემოყოფთ;
- პაციენტებში ჰალუცინაციებით.

სედაციის მიზნით რეკომენდებულია მხოლოდ ერთი პრეპარატის გამოყენება. მედიკამენტის შეყვანა ხდება უმცირესი შესაძლო დოზით, აუცილებლობისას დასაშვებია დოზის თანდათანობითი მატება 30 წუთის ინტერვალით.

დელირიუმის მართვისას სედაციის მიზნით უპირატესობა ენიჭება შემდეგ მედიკამენტებს:

- **პალოპერადოლია—0,5-3** მგ აბების სახით peros ან 2,5-5 მგ ინტრამუსკულარული ინექციის სახით 4-ჯერ დღეში (შენიშვნა: პალოპერადოლის ორალური დოზა არ არის პარენტალური დოზის ეკვივალენტური);
- **დოზიპერადოლია—5-10** მგ ორალურად ან 5 მგ კუთმიდა ინექციის სახით 4-ჯერ დღეში. თუმცა, 70 წლის ბემოთ ასაკის პაციენტებში დოზის შერჩევა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს.

სედაციური საშუალებების გამოყენება მკაცრი, რეგულარული მონიტორინგით უნდა მოხდეს. ალკოჰოლური აბსტინენციით გამოწვეული დელირიუმის მართვისათვის რეკომენდებულია ბენზოდიაზეპინჯები (მაგ. დიაზეპამი ან ქლორდიაზეპოქსიდი) ან პრომეთაზინი ან ქლორპრომაზინი ქლორმეთაზოლი.

### გართულებების პრევენცია:

დელირიუმის ძირითადი გართულებებია:

- დაცემა;
- ნაწოლები;
- ნოსოკომიალური ინფექციები;
- ფუნქციონალური სფაცუსის გაუარესება;
- განავლისა და შარდის შეუკავებლობა ან პირიქით;
- პიპერსედაცია.

პაციენტის საწოლიდან გადმოვარდნის თავიდან აცილება კიდევებთან ბარიერების შექმნით ან პაციენტის დაბმით ნაკლებად ხერხდება<sup>26</sup>. უმჯობესია, პაციენტის დაბალ საწოლში მოთავსება ან ლეიიბის პირდაპირ იაფაკტე დაგება.

### ნაწოლები

დელირიუმის აღმოცენებისთანავე უნდა შეფასდეს ნაწოლების განვითარების რისკი (ნორგონის ან ვატერლოოს სკალების მიხედვით). ნაწოლების განვითარების რისკ-ფაქტორებია:

- ანემია;
- მაღაბსორბციის სინდრომი;
- მოგეხილობები;
- შარდისა და განავლის შეუკავებლობა.

ნაწოლების პრევენციის მიზნით აუცილებელია სხეულის ქვემდებარე ქსოვილებზე წნევის, ხახუნისა და სინოტიფის მოქმედების შემცირება; კანის რეგულარული მოვლა; პაციენტის მობილურობის მაქსიმალურად აღრეული აღდგენა. (IV)


### შარდისა და განავლის შეუკავებლობა

დელირიუმის დიაგნოსტირებისთანავე აუცილებელია შარდისა და განავლის გამოყოფის ფუნქციების შეფასება. უზრუნველყოფილი უნდა იქნას შარდის ბეშტისა და სწორი ნაწლავის რეგულარული დაცლა. საშარდე ტრაქტის ინფექციების დროული მკურნალობა თავიდან აგვაცილებს შარდის შეუკავებლობის ჩამოყალიბებას. კონფიგიურ პაციენტებში კათეტერის გამოყენება ასოცირებულია ტრავმირებისა და ინფექციების მაღალ რისკთან, ამდენად, კათეტერისგან მაქსიმალურად იშვიათად უნდა მიმართოთ. (IV)

## ხანდაგმულებში დელირიუმის გამომწვევი მედიკამენტები

მედიკამენტის ჯგუფი	მედიკამენტების დასახელება	რისკი	შენიშვნა
ბენზოდიაზეპინები	დიაპეპამი, ფამაზეპამი, ქლორდიაზეპოქსიდი	მაღალი	ბენზოდიაზეპინების მოხსნაც ხშირად ხდება დელირიუმის განვითარების მიზები
ანგილეპრესანგები	ამიტრიპილინი, ღოქსეპინი, ტრაბადონი	მაღალი	რისკი მაქსიმალურია ანგილეპილინერგული და სედაციური მოქმედების მრეპარატების გამოყენებისას
პარკინსონის დავადების სამკურნალო პრეპარატები	ლევოდოპა ბრომოკრიპიფინი სელეგილინი ბენზეპექსოდი თრფენადრინი პერგოლიდი	მაღალი	ამ ჯგუფის პრეპარატებს ანგილ-ლინერგული ან დოპამინერგული მოქმედება ახასიათებთ, რამაც შეძლება ფონფებია გამოიწვიოს
ანალგეზიური საშუალებები	არისტეროდილული ანთებისსაწინააზმდეგო მედიკამენტები თოიატები ასპირინი	მაღალი	კონფუზია შესაძლოა გამოიწვიოს ნებისმიერმა ანალგეზიურმა საშუალებამ (პარაცეტამოილის გარდა). ასპირინის შემთხვევაში ვლინდება დობაზე დამოკიდებულების მოქმედი. ოპიატების ფონზე ძალიან მაღალია კონფუზის განვითარების რისკი.
ლითოუმი	-	მაღალი	-
სტერიოლები	-	მაღალი	გასათვალისწინებელია რისკის დოზაზე დამოკიდებულების მოქმედი
ჰიპოგენზიური საშუალებები	მეთოდოპა ალფა-ბლოკერები ბეტა-ბლოკერები აგვ ინჰიბიტორები კალციუმის არხების ბლოკერები დიურგზტული საშუალებები	მაღალი საშუალო დაბალი	დიურეზტული საშუალებების ფონზე დელირიუმის აღმოცენება განპირობებულია ელექტროლიტური დისბალანსით
ანტიარითოული საშუალებები	დიგოქსინი ამინდარონი დიმოპირამიდი ლიგნიკაინი	საშუალო	დელირიუმის რისკი ყველაზე მაღალია დიგნოკაინის გამოყენებისას დიგოქსინის შემთხვევაში რისკი დოზაზე დამოკიდებული
დიდი ტრანკეულიზატორები	ქლორპირომაზინი თიორინი ტრიფლუეპრაზინი ჰალოპერიდოლი ღრომერიოლო	საშუალო დაბალი	ანგილიონერგული მოქმედების სედაციური მედიკამენტების გამოყენებისას რისკი განსაკუთრებით მაღალია, იმ პრეპარატებთან შედარებით, რომელსაც სედაციური მოქმედება არ ახასიათებთ (მაგ. ჰალოპერიოლო)
ანგილეფილეფსიური საშუალებები	პრიმიდონი ფენიტოინი კარბამიდეპანი ვალპროტატი	დაბალი	პრიმიდონის გამოყენებისას რისკი მაქსიმალურია. დელირიუმის აღმოცენების ალბათობა შედარებით დაბალია ფალპროტის ან კარბამიდეპანის ფონზე. ფენიტოინის შემთხვევაში რისკი დოზაზე დამოკიდებული
ანგილიონერგულ/ ანგილისტამინური/ ანგილიზმური საშუალებები	ქლორფენირამინი ატრიპინი	საშუალო	
2 რეცეპტორების ბლოკერები	ციმეტილინი, რანიტილინი, ფამოტილინი	დაბალი	ციმეტილინის გამოყენებისას კონფუზის განვითარების ალბათობა ამ ჯგუფის სხვა პრეპარატებთან შედარებით მაღალია
ანგილიოლიკები	ბენზილპენიცილინი კო-ტრიმოქსაზოლი ამონტერიცენი ანტიტემერკულობიტური მედიკამენტები (რიფამპიცინი, იბონიაზიდი) ანტიპარაზიტული მედიკამენტები (მეპაკრინი, ქლოროქინი, ქინდინი) ანგილიორეზული მედიკამენტები (ამანტადინი, აციკლოვირი, გილოვედინი)	დაბალი საშუალო	მართალია, პოგნციურად ანგილიოლიკების უმრავლესობა დელირიუმის მიზები შეიძლება იყოს, მაგრამ ინფექციების ფონზე კონფუზის აღმოცენების მინიჭებული მიზები თავად პათოლოგიური პროცესით და არა ანგილიოლიკებისათვის
-	ამინფოლინი	დაბალი	კონფუზის აღმოცენების რისკი დოზაზე დამოკიდებული
ორალური ჰიპოგლიკემიური მედიკამენტები	ტოლდუეტილი გლიბეგნკლამიდი	დადგენილი არ არის	ამ მედიკამენტების ფონზე პოტენციურად შესაძლებელია ჰიპოგლიკემიისას და პარენეფრინიტიმის განვითარება, რაც, თავის მხრივ, დელირიუმის მიზები ხდება.
ანგილეპლასტიური მედიკამენტები	მეტოტრექსატი, ფლუოროტერაცილი, ალტრეგამინი, ასპარგინაზა, პროკარბაზინი, კარშესტინი, დაკაბაზინი, ინტერფერონი-ა	დადგენილი არ არის	ავთვისებიანი დაავადება, თავისთავად, ხშირად არის დელირიუმთან ასოცირებული და, ამდენად, მნელია მის განვეტები ანგილიოლიკებისგან მედიკამენტების როლის დადგენა, თუმცა ჩამოთვლილი პრეპარატების ფონზე კონფუზია უფრო ხშირად აღინიშნება, ვიდრე ამ ჯგუფის სხვა მედიკამენტების გამოყენებისას

**სანდაგმულებში მენთალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მართვის გაიდლაინი ოჯახის ექიმებისათვის  
დელირიუმის დიაგნოსტიკისა და მართვის ალგორითმი**



- დეპრესია-გერიატრიულ პოპულაციაში ერთ-ერთი უხშირესი პრობლემაა. დეპრესიის პრევალირების მაჩვენებელი ხანდაგმულებში 10-15%-ია, <sup>27</sup> ამასთან, იგი ქალებში, მამაკაცებთან შედარებით, გაცილებით ხშირია.
- რისკ-ფაქტორები დეპრესიისათვის ხანდაგმულ ასაკში შემდეგია<sup>28</sup>:

- ჭირისუფლობა და ახლობლის დაკარგვა უახლოეს 6 თვეში;
  - მარტოობა (ეს არ ნიშნავს მარტო ცხოვრებას);
  - ცხოვრებით უკმაყოფილება;
  - მდედრობითი სქესი (აღსანიშნავია, რომ სუიციდი უფრო ხშირია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში);
  - თამბაქოს მოწევა.
- დეპრესია შესაძლოა განვითარდეს რიგი ორგანული დაავადების ან ბოგიერთი მედიკამენტის მიღების ფონზე (იხ. ცხრილი №3). ამდენად, დიაგნოსტიკური ძიების წარმოებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი მედიკამენტური ანამნეზის შეკრებასა და დეპრესიის გამომწვევი ორგანული დაავადების გამორიცხვას.

ცხრილი №3

### **დაავადებები და მედიკამენტები, რომელთა მიღების ფონზეც მაღალია დეპრესიის განვითარების აღიარება**

დაავადება	მედიკამენტი
• ჰიპერთარეტიდიზმი	• სტერიოდები
• ჰიპოთარეტიდიზმი	• რანიტიდინი და ციმეტიდინი
• ადისონის დაავადება	• კალციუმის არხების ბლოკერები მაგ. ნიუკლინი
• ელექტროლიტური დისბალანსი	• ბეტა-ბლოკერები, მაგ. პროპრანთლოლი
• ალკოჰოლიზმი	• მეთილდოპა, L-დოპა
• კარციონომა	• რეზერპინი
• კვებითი დეფიციტი (B <sub>12</sub> , B <sub>1</sub> და ფოლაციუმები)	• ტეტრაბენაზინი

- დეპრესია სერიომული პათოლოგიაა. იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს პაციენტის ცხოვრების ხარისხზე, ამასთანავე, მას თან სდევს სუიციდის რისკი. ახალგაზრდებთან შედარებით, სუიციდის ინსიდენსი 80 წლის ბემოთ ასაკის პირებში 2-ჯერ მაღალია.

### **ყველა დეპრესიულ პაციენტში უნდა შეფასდეს სუიციდის რისკი. სუიციდალური ამრები, შესაძლოა, ძალიან მსუბუქი დეპრესიის დროსაც კი იყოს გამოხატული.**

ხშირად ექიმი მნიშვნელოვან ინფორმაციას იღებს შეკითხვით – „გიგრძენია თუ არა თავი ისე ცედად, რომ გიფიქრია საკუთარი თავის ვნებაზე?“

უნდა შეფასდეს:

- სუიციდური აზერების პერსისტიულობა;
- დეტალიზაციაზე ფიქრი;
- სამოქმედო გეგმის არსებობა.

**მნიშვნელოვანია გაირკვეს:**

- სუიციდის მიზები;
- რას ფიქრობდა პაციენტი მცდელობის დროს?
- იყო თუ არა მისი მოქმედება იმპულსური?
- დაანება თუ არა თავი სუიციდზე ფიქრს?
- სად ჰქონდა სუიციდის მცდელობას ადგილი – სახლში, თუ უცხო გარემოში?
- ახლა რას ფიქრობს სუიციდის შესახებ, ხომ არ გაიმეორებს?
- იყო თუ არა პაციენტი მცდელობის დროს აღკოპოლის ან წამლის გემოქმედების ქვეშ?

აუცილებელია სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებაც, კერძოდ:

- კრიზისი ან გამამწვავებელი ფაქტორი არის თუ არა გადაჭრილი;
  - აგრძელებს თუ არა პაციენტი სუიციდზე ფიქრს;
  - ხომ არ არის გამოხატული მძიმე ფსიქიკური დაავადების სიმპტომები;
  - რამდენად მყარია პაციენტისადმი სოციალური მხარდაჭერის სისტემა;
  - თვითმიმწოდებელი მემტხვევა აღრე ჰქონდა თუ არა;
  - ხომ არ თვლის, რომ ახლობლის სიკვდილთან ერთად დამთავრდა მისი სიცოცხლე;
  - პაციენტს აქვს თუ არა ორგანული დაავადება.
- მოხუცებში დაავადების ატიპიური მიმდინარეობის გამო ძნელია დეპრესიის გამოცნობა და ამდენად პაციენტს იშვიათად ენიშნება სათანადო მკურნალობა. ხშირად ხასიათის გაუარესებას დომინანტური ხასიათი არა აქვს და ყურადღებას მხოლოდ შფოთვა ან მეხსიერების გაუარესება იპყრობს.<sup>29</sup>
- ხანდაგმულებში დეპრესიის დიფერენციული დიაგნოსტიკისას აუცილებელია დემენცია გათვალისწინება. დეპრესიით გამოწვეული დემენცია (ანუ ფსევდოდემენცია) კარგად ექვემდებარება ანტიდეპრესიულ მკურნალობას.
- ხანდაგმულებში ანტიდეპრესიული ფარმაკო და ფსიქოთერაპია ისევე ეფექტურია, როგორც ახალგაზრდებში. თუმცა, ამ ასაკობრივ ჯგუფში ანტიდეპრესიული მედიკამენტების შერჩევისას განსაკუთრებული სიფრთხილე საჭირო. ასაკობრივი თრგანული და მეტაბოლური ცვლილებების გამო ხანდაგმულებში განსაკუთრებით მაღალია ანტიდეპრესიული მედიკამენტების გვერდითი მოვლენების რისკი. ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას თანმხლები დაავადების არსებობა და ზოგიერთი ანტიდეპრესიული პრეპარატის კარდიოგნეზიკური, გლაუკომის დამამძიმებელი მოქმედების შანსი.
- ანტიდეპრესიული მედიკამენტური მკურნალობა საჭიროა ხანგრძლივად, არანაკლებ 8 კვირისა. პაციენტს მოუწევს მოთმინებით ელოდოს შედეგს, ხოლო სამედიცინო პერსონალმა ხელი უნდა შეუწყოს მის მოთმინებას.

### დეპრესიის დიაგნოსტიკება:

- მნიშვნელოვანია დეპრესიის დროული დიაგნოსტიკა და აღრეულ ეტაპზე შესაფერისი მკურნალობის დანიშვნა. 65 წლის ბერით ასაკის პირებში დეპრესიისა და დემენციის პრევალირების მაჩვენებელი (შესაბამისად—10% და 5%) იმდენად მაღალია, რომ ნათელი ხდება ბოგად პრაქტიკაში ამ მდგომარეობებთან დაკავშირებული სკრინინგის პროგრამის შემუშავება. ვინაიდან დეპრესიის კლინიკური მანიფესტაცია ხანდაგმულ პირებში განსხვავებულია, მისი დიაგნოსტიკისათვის საჭიროა სპეციფიკური მეთოდის გამოყენება. დანართი 3-ში წარმოდგენილია 15-პუნქტიანი კითხვარი (დეპრესიის ეგანს დიგენტულის რეიტინგის სკალა), რომელიც მოხუცებში დეპრესიის გამოვლენის საშუალებას იძლევა. ამ ტესტის მგრძნობელობა 78-85%-ის, ხოლო სპეციფიკურობა 74-82%-ის ფარგლებში მერყეობს.<sup>30</sup>
- დეპრესიაზე სკრინინგის შედარებით მარტივი ინსტრუმენტია დეპრესიის გერიატრიული სკალის შემოკლებული ხუთუნქტიანი ვარიანტი (დანართი 3). თუ ტესტის შედეგი უფოლებება ან აღვმატება 2-ს, სავარაუდო დეპრესიის არსებობა. ტესტის მგრძნობელობა 97%, სპეციფიკურობა 85%, დადგებითი სავარაუდო ღირებულება 85%, ხოლო უარყოფითი სავარაუდო ღირებულება 97%-ია.<sup>31</sup>
- გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხანდაგმული ასაკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოდგენს შედარებით მაღალი შფოთვის დონე, რომელიც კრიტიკულ სიტუაციებში კიდევ უფრო იზრდება. ასეთ სიტუაციებს მიეკუთვნება ტესტირებაც. გამომდინარე აღნიშნულიდან, სასურველია მოკლე ტესტების გამოყენება, ამასთან, თუ ეს შესაძლებელია ბუნებრივი საუბრის სახით, და არა რიტუალური ტესტირების პროცედურის სახით ჩატარება; (IV)

- დეპრესიის დიაგნოზი მისთვის დამახასიათებელი სიმპტომოკომპლექსის სათანადო შეფასებას ეფუძნება. პაციენტების დიდი ნაწილი, ძირითადად, აღწერს, რომ გრძნობს მუდმივ, ძლიერ დაღლილობასა და უნერგიის ნაკლებობას. დეპრესიულ ადამიანებს უარყოფითი შეხედულება აქვთ საკუთარ თავზე, სამყაროზე, მომავალზე. ისინი თვლიან, რომ არაფრის გაკეთებას აზრი არა აქვს. ეს ადამიანები ახდენენ საკუთარი ღირსების მინიმალიზაციას. მათი რეაქციები დაქვეითებულია და შესაძლოა, თავადაც თვლიდნენ, რომ ნელა აბროვნებენ. ადამიანი, რომელიც მათ აკვირდება, მართლაც იფიქრებს, რომ დეპრესიული პაციენტების მოქმედება შენელებულია. მაგ. ისინი საათობით უმოძრაოდ სხედან სკამებზე ან წვანან საწოლში. ამ ღროს იცვლება ძილის, კვების, სქესობრივი აქტივობისა და ნაწლავების მოქმედების ხასიათი.

დეპრესიის ე.წ. ბიოლოგიურ ნიშნებს მიეკუთვნება:

- დღის განმავლობაში ხასიათის ცვალებადობა (დილით განსაკუთრებით ცუდი ხასიათი);
- ცუდი ძილი, საწყისი ინსომნიით (პაციენტს უჭირს ჩაძინება), მას ხშირად და დილით ძალიან აღრე ეღვიძება და ვეღარ იძინებს;
- ცუდი მაღა (ჭამს იშვიათად, მცირე რაოდენობით საკვებს)–დეპრესიული პაციენტები აღნიშნავენ, რომ საკვები უგეგმურია და რომ სრულებით არ შიათ. მათ შესაძლოა შეწყვიტონ სითხის მიღებაც;
- წონაში დაკლება–შესაძლებელია შიმშილით სიკვდილიც კი;
- ლიბიდოს დაქვეითება;
- შეკრულობა.

მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დეპრესია ამ ნიშნების სხვადასხვაგვარი კომბინაციით ხასიათდება. რაც შეეხება მძიმე ფორმას, დამატებით ბოგჯერ ვლინდება ფსიქოტური ნიშნები, როგორიცაა სმენითი ჰალუცინაციები და ბოდვები.

ფსიქოტური ნიშნები შესაბამისობაშია დეპრესიულ ხასიათთან. მაგ. თუ პაციენტი საკუთარ თავს უმაქნისად თვლის, სმენითი ჰალუცინაციები კიდევ უფრო აძლიერებენ ამ განწყობას. ხმა, რომელიც პაციენტს ესმის, უდასტურებს მას, რომ უმაქნისა და ბოროტების განსახიერებაა. ბოდვის შინაარსიც ასევე დეპრესიული ხასიათის შესაფერისა. მაგ. პაციენტი თვლის, რომ ჩაიდინა საშინელი დანაშაული და ამისათვის უნდა დაისაჯოს. ხშირია ავადმყოფობის (ჰიპოქონდრიალური), დევნისა და სიღარიბის ბოდვები. ბოდვის განსაკუთრებით მძიმე ფორმაა ნიკილისტური ბოდვა, მაგ. პაციენტი ფიქრობს, რომ მუცელში არა აქვს ნაწლავები, თავში– ტვინი და ა.შ. ასეთი ფსიქოტური სიმპტომები დეპრესიის დროს იმვიათია. დეპრესიის მსუბუქი ფორმა აღნიშნება მოსახლეობის 10-18%-ს (Ben Green., UK).

- დეპრესია ყოველთვის კლასიკური მანიფესტაციით არ ხასიათდება, რაც ართულებს დიაგნოსტიკობას პროცესს. ყველაზე ხშირად, დიაგნოსტიკური შეცდომის მიზები ხდება შეკითხვა–”ხომ არ გრძნობთ დეპრესიას ან გუნება-განწყობის დაქვეითებას?”. უმჯობესია მოიძებნოს სხვა, ნაკლებად მგრძნობიარე და სპეციფიკური შეკითხვები მაღის დაქვეითების, შეკრულობის, წონაში დაკლებისა და ა.შ. შესახებ, რადგან პაციენტები ხშირად თავიანთ გრძნობას ვერ აღიქვამენ, როგორც დეპრესიულს.
- ექიმს არ უნდა გამოეპაროს ის სიგნალები, რომლებიც, შეიძლება, დეპრესიის მანიშნებელი იყოს, კერძოდ:

1. სხვადასხვა ჩივილი, რაც რომელიმე კონკრეტული ორგანული დაავადების ჩარჩოებში არ ეტევა და ობიექტური ნიშნებით განმტკიცებული არ არის. პაციენტი უჩივის დისპეციისა, თავბრუსხვევას, ნაწლავების დისფუნქციას, ჰიპერვენტილაციას, გულის ფრიალს;
2. პერსისტული აუხსენელი ტკივილები თავის, ბურგისა და მუცელის არეში;
3. ექიმთან გახშირებული მიმართვა თავად პაციენტის ან, თუ დედა, ბავშვის მცირე პრობლემების გამო;
4. ძილთან დაკავშირებული სირთულეები;
5. შფოთვა პაციენტებში, რომლებსაც არა აქვთ ფსიქიკური დარღვევის ანამნეზი. ეს ვლინდება გულის ფრიალით, ოფლიანობით, კანკალით, არაბუნებრივი და გაუმართლებელი შიშით საკუთარი ან საყვარელი ადამიანის დაავადების გამო. თუ ასეთი რამ შეახნის ასაკის ადამიანს აღნიშნება, ჰირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს დეპრესია და შემდეგ სხვა შესაძლო მიზებები;
6. შეუთავსებლობა პაციენტის ფიზიკურ მდგომარეობასა და ჩივილების ბუნებას შორის. მაგ. იგი ჯანსაღად გამოიყერება და თავს საშინლად გრძნობს;

7. გამოჯანმრთელების გახანგრძლივება რაიმე დაავადების, ოპერაციისა თუ ტრავმის შემდგომ პერიოდში.

დიაგნოზის დასმას აითლებს შემდეგ საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება:

1. **სახეგვა ძილის დარღვევები—დამინების გამნელება, ხშირი და ადრე გაღვიძება;**
  2. **ცხოვრების ინტერესის დაკარგვა—პაციენტი აღწერს: ცხოვრებამ დაკარგა ხალისი, დავალება ან ჰაბი კარგავს აზრს და ა.შ.**
  3. **კონცენტრაციის უნარის დაკარგვა—პაციენტი დროულად ვერ ასრულებს სამუშაოს, ცდილობს საქმის გადადებას.**
  4. **პაციენტს ბოლოხანს „დასჩემდა“ მცირე, უმნიშვნელო საქმეზე არაბუნებრივი წუხილი და შფოთვა;**
  5. **პაციენტს აქვს უდირსობისა და უსუსურობის შევრძება—თვითდანაშაული წარსული წარუმატებლობის გამო, ხასიათის დეფექტების დაშვება;**
  6. **პაციენტს ხშირად აქვს ტირილის სურვილი—თუ პაციენტი ტირის გასაუბრების დროს, განსაკუთრებით, მამაკაცები.**
  7. **პაციენტი გედმეტად გაღიბიანებულია—მამაკაცები აცნობიერებენ, რომ ადვილად ღიბიანდებიან და თავს დამნაშავედ გრძნობენ მეუღლეებისა და შვილების წინაშე;**
  8. **პაციენტი უჩივის მაღის დაკარგვასა და შეკრულობას—ამას, შედარებით ნაკლები დიაგნოსტიკური ღირებულება აქვს.**
- 1994 წელს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციამ წარმოადგინა დეპრესიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები, რომლის თანახმადაც დეპრესიის დიაგნოზი მართებულია, თუ ორი კვირის მანძილზე ავადმყოფს თითქმის ყოველდღე (დასაშვებია ერთი ღიას გამოკლება) ქვემოთ მოყვანილი სიმპტომებიდან აღნიშნება, სულ მცირე, 5 სიმპტომი; ამ ხუთი სიმპტომიდან ერთი მაინც უნდა იყოს დეპრესიული განწყობა, ინგერესის ან სიამოვნების განცდის დაკარგვა.<sup>14</sup>

#### **დეპრესიის სიმპტომები:**

1. დეპრესიული, დათრგუნული განწყობა (ავადმყოფის ან ახლობლების გადმოცემით);
2. სიამოვნების მიღების განცდის ან რაიმე საქმიანობის შესრულების მიმართ ინტერესის მკვეთრი დაქვეითება;
3. წონაში მნიშვნელოვანი დაკლება (თვეში სხეულის მასის 5%-ზე მეტი, რაც ორგანული დაავადებით არ არის გამოწვეული, ან პირიქით-წონის მომატება; შესაბამისად, მაღის დაქვეითება ან გაძლიერება);
4. უძილობა ან ძილიანობა;
5. ფსიქომორფული აგჩება ან პირიქით, დათრგუნვა;
6. სისუსტე, შრომისუნარიანობის დაქვეითება;
7. უსარგებლობის შევრძნება ან საკუთარი თავის დადანაშაულება ჩაუდენელ დანაშაულში;
8. აგროვნების ან კონცენტრირების უუნარობა; გადაწყვეტილების მიღების შეეძლებლობა;
9. ხშირი ფიქრი სიკვდილზე (არ იგულისხმება მხოლოდ სიკვდილის შიში); ფიქრი თვითმკვლელობაზე ან მისი განხორციელების მცდელობა წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით.

#### **დეპრესიის მართვა**

- დეპრესიის გავრცელებული პათოლოგია;
- დეპრესიის განკურნებადია—გამოხავალი კარგია;
- დეპრესიის საფუძვლად უდევს ბიოქიმიური ცვლილებები;
- ანგილეპრესიულ მედიკამენტებზე დამოკიდებულება არ გითარდება;

გთხადი პრაქტიკის ექიმისათვის დეპრესიის მართვისას მნიშვნელოვანია შემდეგი მომენტების გათვალისწინება:

1. მას შემდეგ, რაც დეპრესიის დიაგნოზი ეჭვს აღარ იწვევს, აუცილებელია მდგომარეობის სიმძიმის შეფასება;
  2. მდგომარეობის სიმძიმის საფუძველზე ფასდება სპეციალიზებულ კლინიკაში პაციენტის მიმართვის აუცილებლობა;
  3. მსუბუქი სიმძიმის დეპრესიის შემთხვევაში მდგომარეობის მართვა საფეხურით შესაძლებელია მოგადი საუქიმო პრაქტიკის პირობებში.
- მსუბუქი დეპრესიის შემთხვევაში, ხშირად საკმარისია დეპრესიის გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა და მათზე ბემოქმედება, პაციენტის მიმართ სიმპათიისა და თანაგრძნობის გამოხატვა. მნიშვნელოვანია, დაეხმაროთ პაციენტს, რათა მან თავის თავში იპოვოს ის ძალა, რომელიც კრიზისის დაძლევაში შეუწყობს ხელს. დეპრესიის მართვის მარტივი გზაა ე.წ. პრობლემების გადაჭრის მეთოდი, რასაც ოჯახის ექიმები ხშირად წარმატებით იყენებენ. ეს პროცესი ექიმსა და პაციენტს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებას გულისხმობს და რამოდენიმე ეტაპად სრულდება:
1. პრგელი ეტაპი—ექიმი პაციენტს პრობლემების ჩამონათვალის შექმნაში ეხმარება;
  2. შერე ეტაპი—ექიმი პაციენტს პრიორიტეტების გამოყოფაში ეხმარება;
  3. შესამე ეტაპი—ექიმი და პაციენტი ერთად სახავენ პრობლემის გადაჭრის გზას (გეგმა მიღწევადი და რეალური უნდა იყოს);
  4. შეოთხე ეტაპი—მომდევნო ვიზიტზე ექიმი აფასებს, რამდენად შესრულდა დასახული ამოცანა და პაციენტთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა გააკეთონ ამის შემდეგ.
- საშუალო სიმძიმისა და მძიმე დეპრესიის შემთხვევაში საჭიროა მედიკამენტური მკურნალობა. მკურნალობის დანიშნამდე მნიშვნელოვანია გამოვარკვით პაციენტის განწყობა პრეპარატის მიღების საჭიროებისადმი. სასურველია, ანგილეპრესიული მედიკამენტის შერჩევა სპეციალისტთან კონსულტირების საფუძველზე მოხდეს.

### ანტიდეპრესიული მედიკამენტური მკურნალობა

ხანდაგმულებში ანგილეპრესიული მედიკამენტების დანიშვნისას უნდა გავითვალისწინოთ მათი გვერდითი მოვლენების განვითარების მაღალი ალბათობა.<sup>33</sup> ხანდაგმულებში დეპრესიის სამკურნალო ძირითადი მედიკამენტები წარმოდგენილია დანართი №4-ში.

- ტრიციკლიური ანგილეპრესანტების გვერდითი ეფექტების გამო (შარდის შეკავება, კონფუზია, პოსტურალური ჰიპოტენზია, გულის რიტმის მოშლა (არითმია, გამტარებლობის შეფერხება, თვალის შიდა წნევის მომატება), ხანდაგმულებში მათი გამოყენება მაქსიმალურად შეზღუდულია).
- შედარებით ნაკლები გვერდითი მოვლენებით ხასიათდებიან სეროფონინის უკუშებოჭვის სელექციური ინჸიბიტორები (ფლუოქლიკლინი, პაროქლიკლინი, სერტრალინი, ციტალოპრამინი პირონობრომიდი). ამდენად, მათი გამოყენება მოხუცებში უფრო გამართლებულია.

- დეპრესიის სამკურნალოდ გამოიყენება სეროტონინ-ნორადრენალინის უკუშთანთქმის ბლოკერებიც (გენდაფაქსინი, ბუპროპიონი, მიტრაზეპინი და ნეფაზადონი).
- იმვიათად, გერიატრიულ პრაქტიკაში, უპირატესად ატიპიურად მიმდინარე დეპრესიის მართვისას შესაძლოა მონოამიოქსიდაბას ინჰიბიტორების (იზოკარბოქსაზიდო, ფენტაზინი და ტრანსლუციმორომინი) გამოიყენება, მაგრამ ამ პრეპარაციების მიღებისას ავადმყოფი დიეტას უნდა იცავდეს (საკვები რაციონიდან უნდა გამოირიცხოს თირამინის შემცველი პროდუქტები). თუმცა, დიეტის დაცვა იმდენად რთულია და ამ ჯგუფის მედიკამენტებს ისეთი ანგაგონიბმი აქვს სხვა პრეპარაციებთან, რომ მათი გამოიყენება ახალგაბრდებშიც განსაკუთრებული სიფრთხილით ხდება.

**ანტიდეპრესიული მედიკამენტური მკურნალობის დაწყების საკითხი უნდა დადგეს, თუ პაციენტს აღვნიშნება დეპრესიის კარგად გამოიხატული სიმპტომები, სელ მცირე, ორი კვირის მანძილზე და ეს სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მისი ფუნქციონირების უნარზე.<sup>32</sup>**


**ანდიტეპრესიული მედიკამენტური მკურნალობა უნდა დაინიშნოს და ჩატარდეს ფსიქიატრიულ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. პირველადი ჯანდაცვის გუნდმა არსებითი როლი უნდა შეასრულოს, რათა ანტიდეპრესიული მკურნალობისას პაციენტმა დანიშნულება ზესტად შეასრულოს, რაც კარგი გამოსავლის მისაღწევად აუცილებელი პირობაა.**

### **რამოდენიმე რეკომენდაცია ექიმებისათვის**

#### **როგორ დავეხმაროთ დეპრესიულ ხანდაგმულ პაციენტს?**

1. დაეხმარეთ პაციენტს დაინახოს თავისთავში დადებითი. დაუდასტურეთ, რომ სიტუაცია შეიძლება იყოს ცუდი ან მეტად არასასიამოვნო, მაგრამ თავად პიროვნება, რომელიც ამ სიტუაციაში აღმოჩნდა, არავითარ შემთხვევაში არ არის უარყოფითი პიროვნება. დაანახეთ პაციენტს ის შესაძლებლობები, რაც მას წარმატებას მოუტანს, გაამხნევეთ და დაეხმარეთ ახალი ამოცანების დასახვაში.
2. მიეცით პაციენტს საშუალება, გამოხატოს თავისი გრძნობები: ბრაზი, დანაშაული, სირცხვილი და ა.შ. მოუსმინეთ და ეცადეთ, მართოთ მისი გრძნობები. ამ შემთხვევაში არ გამოგადგებათ ისეთი ფრაგები, როგორიცაა „„ნუ დარღობთ, ყველაფერი კარგად იქნება“ და „ასე ნუ ლაპარაკობთ. თქვენ ყველაფერი გაქვთ იმისათვის, რომ მადლიერი იყოთ.“
3. დეპრესიის მართვისას მნიშვნელოვანია დარწმუნებული ვიყოთ, რომ პაციენტის ფიზიკური საჭიროებები დაკმაყოფილებულია. კარგი კვება, ვარჯიში, ძილის რეჟიმისა და კუჭის მოქმედების მოწესრიგება ხელს უწყობს პაციენტის ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც, თავის შხრივ, დეპრესიის მკურნალობას აითლებს.
4. მიეცით პაციენტს იმედი. მასთან ერთად რეალურად შეაფასეთ სიტუაცია და ეცადეთ— მას მომავლის რწმენა და სიცოცხლის სურვილი დაუბრუნოთ;

**ზოგად საექიმო პრაქტიკაში დეპრესიის მართვის აღგორითმი**



**სანდაგმულებში მენთალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მართვის გაიდლაინი ოჯახის ექიმებისათვის  
დელირიუმს, დემენციასა და დეპრესიას შორის საღიფურენციაციო ძირითადი  
კრიტიკულები**

demencia	Mmwave konfuzia (delirium)	depresia
<b>დასაწყისი</b> ფარული, თანდათანობითი		
<b>სანმომლივობა</b> თვეები/წლები	მწვავე	თანდათანობითი
<b>მიმღინარეობა</b> საგაბილური და პროგრესული მიმდნარეობა (ჩვეულებრივ, ეტაპობრივი)	საათები/დღეები/ზოგჯერ კვირებიც	კვირები/თვეები
<b>ორიენტაცია</b> შესაძლოა იყოს ნორმალური: ჩვეულებრივ, გაუარესებულია ორიენტაცია დროსა და ადგილში	მერყევი (ფალლისებური)– მდგომარეობა უარესდება დამით, შესაძლოა, აღინიშნოს „ნათელი“ პერიოდები	მდგომარეობა განსაკუთრებით უარესდება დილით
<b>გენსიერება</b> დარღვეულია მყისიერი, შედარებით იშვიათად კი ხანგრძლივი მეხსიერება	ყოველთვის გაუარესებულია: ღრო/ადგილი/პიროვნება	ჩვეულებრივ, ნორმალური
<b>აზორგნება</b> შენელებულია, ინტერესები შენარჩუნებულია	ხანმოკლე მეხსიერების დარღვევა	შესაძლოა, აღინიშნოს ხანმოკლე მეხსიერების მოშლა, ხოლო ხანგრძლივი მეხსიერება არ გიანდება
<b>აღძგა</b> ნორმალური, 30-40%-ში ჰალუცინაციები (ხშირად–მხედველობითი)	ხშირად პარანოიდული	ჩვეულებრივ, შენელებულია, რაც განხილული სევდანი და უიმედო განწყობით
<b>მოვივები</b> აპათიური, ლაბილური, გაღიმიანებული, უმწეობის შეგრძნება	ხშირია მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები	ხასიათის შეცვლასთან დაკავშირებული სმენითი ჰალუცინაციები 20%-ში
<b>ძილი</b> ხშირად მოშლილი, ხშირია დამით სიარული და კონფუზია <b>სხვა ნიშნები</b>	ღიში, გაღიმიანება, აფრესია	ემოციური „სიჩლუნგე“, სევდა, ან შიში და გაღიმიანება
	ღამის კონფუზია	დილით აღრე გაღვიძება
	რაიმე დაავადების მანიფესტაცია	ანამნეზში ხასიათის პათოლოგია


დანართი № 1

**მინი-ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევა**

**ქულები:** 1 ქულა თითოეულ სწორ პასუხზე. 24-ზე ნაკლები ჯამი მიუთითებს დემენციას.

ორიენტაცია	საკითხები
1-5 რა დღეა დღეს?	1. თარიღი 2. წელი 3. თვე 4. კვირის დღე 5. სეზონი
6-10 შეგიძლიათ მითხრათ, რა პქვია იმ ადგილს სადაც ჩვენ დღეს ვიმუშობით? - ქვეყანა, მხარე, ქალაქი, შენობა, სართული	6. ქვეყანა 7. მხარე 8. ქალაქი 9. შენობა 10. სართული
რეასტრაცია	
11-13 მენსიერების შეფასება. გამოიყენეთ სამი საგანი: ბურთი, ღროშა და ხე-ჩამოთვალეთ ისინი ნელა და გარკვევით. პირველი გამოეორება იძლევა შეფასებას (0-3), მაგრამ გააგრძელეთ, სანამ პაციენტი არ გამოეორებს სწორად (მაქს. ექვსი ცდა)	11. ბურთი 12. ღროშა 13. ხე
შერადლება და კალკულაცია	
14-18 დაიწყეთ 100-დან და გამოიკეთოთ 7. შეწყვიტეთ გამოკლება 5 მოქმედების შემდეგ. შეაჯამეთ სწორი პასუხების შესაბამისი ქულები. თუ პირს არ შეუძლია ამ დაგადლების შესრულება, სოხუმეთ მას წარმოთქმას სიტყვა შებრუნებით. დათვალეთ სწორად შებრუნებული ბგერების რაოდენობა	14. 93 15. 86 16. 79 17. 72 18. 65 სიტყვა შებრუნებული
მენსიერება	
19-21 ახლა გაიმეორეთ სამი სიტყვა, რომლის დამახსოვრებაც გთხოვთ	19. ბურთი 20. ღროშა 21. ხე
შეტყველება	
22-23 დასახულება: უჩვენეთ საგნები და პკითხეთ მათი სახელება: მაჯის საათი, კალამი	22. საათი 23. კალამი
24 გამეორება: გაამეორებინეთ პაციენტს ფრაზა: „და თუ, თუ არა, მაგრამ თუ“	24. გამეორება
25-27 სამი კომპონენტის შემცველი ბრძანება: მიეცით პაციენტს ქაღალდის ფურცელი და უთხარით: აიღეთ ფურცელი მარჯვენა ხელში, გაკეცეთ და დადევით იატაჭნე.	25. აიღეთ 26. გაკეცეთ 27. დადევით
28 კითხვა: დაბეჭდეთ დადი ახოებით, დახუჭეთ თვალები და პაციენტს სოხუმეთ წაიკითხო. შეფასება დადებითად, თუ პაციენტი თვალებს დახუჭავს	28. კითხვა
29 სპონტანური წერა: სოხუმეთ პაციენტს დაწეროს წინადადება ქაღალდის ფურცელზე.	29. გონიგრული წინადადება ქვემდებარითად და შემასმენლით
30. კოპირება: გადახატეთ ეს ფიგურა, წარმოდგენილი უნდა იყოს ათივე გუთხე და 2 გადაპეტა	30. ხახატს მრავალ კუთხედებს

**ფიგურა:**



## I. შემოკლებული მენთაღური ტესტი:

- ასაკი;
- დრო (არ არის აუცილებელი წუთების სიზუსტით, სწორად ითვლება უახლოესი საათის დასახელებაც);
- მისამართი, რომლის გამეორებასაც პაციენტის ტესტის ბოლოს სთხოვთ;
- წელი;
- კლინიკის დასახელება, სადაც პაციენტი ამჟამად იმყოფება;
- ცნობს თუ არა 2 პიროვნებას (მაგ. ექიმი, ექტანი);
- დაბადების თარიღი;
- პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი;
- ვინ არის ქვეყნის ამჟამინდელი მმართველი;
- დაითვალის უკუსვლით 20-დან 1-მდე (ამ გზით ხდება ყურადღების ტესტირებაც).

## II.

- ტესტი:** „სამი პუნქტის გამეორება“.
- მიზანი:** მოწმდება ხანმოკლე მეხსიერება.
- შესრულების ტექნიკა:** სთხოვეთ პაციენტს, ყურადღებით მოგისმინოთ, როდესაც თქვენ სამ საგანს დაასახელებთ, რადგან მოგვიანებით (დაახლოებით 1 წუთში) მან უნდა გაიმეოროს ეს სახელები. ამ განმარტების შემდეგ დაასახელეთ სამი ობიექტი (მაგ. ბურთი, დროშა, ხე).
- ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია:** თუკი პაციენტი სამივე საგნის დასახელებას უშეცდომოდ გაიმეორებს, დემენცია ნაკლებად სავარაუდოა. ერთი ან ორი შეცდომის შემთხვევაში დემენციის არსებობის ალბათობა იმრდება და შემდგომი შესწავლის მიზნით რეკომენდებულია მინი-ფსიქიკური ტესტის ჩატარება.<sup>34</sup>

## III.

- ტესტი:** "ცხოველების დასახელება".
- მიზანი:** მოწმდება მეტყველების მანერა და სემანტიკური მეხსიერება.
- შესრულების ტექნიკა:** სთხოვეთ პაციენტს, ერთი წუთის მანძილზე დაასახელოს იმდენი ცხოველი, რამდენსაც ამ დროში მოახერხებს.
- ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია:** პაციენტებში, ალტეიომერის დაავადებით, ტესტის შედეგი, ჩვეულებრივ, ასე გამოიყერება "ძალლი, კაფა, ძროხა (ხანგრძლივი პაუზა), ძალლი. . ."ამის შემდეგ პაციენტს ყურადღება სხვა საგანზე გადააქვს და კარგავს ფოკუსს. დემენციის არარსებობისას ხანდაბმულ ადამიანს, საშუალოდ, წუთში 18 სხვადასხვა ცხოველის დასახელება შეუძლია. 12-8ე ნაკლები შედეგი პათოლოგიის მაჩვენებელია და მინი-ფსიქიკური ტესტის 23-8ე ნაკლებ მაჩვენებელს შეესაბამება. ამ ტესტის შედეგზე მნიშვნელოვან ბეგავლენას ახდენს პაციენტის ასაკი და განათლების დონე, მაგრამ 18-დან 12-მდე ბეგავლენა აბსოლუტურად მისაღებია პათოლოგიური და ნორმალური მდგომარეობის გასამიჯნად.<sup>35</sup>

## IV.

- ტესტი:** "საათის ტესტი"
- მიზანი:** საფეთქლის წილის არადომინანტური ფუნქციების შეფასება, რაც ალტეიომერის დაავადების ადრეულ სტადიებში მნიშვნელოვნად შემცირებულია.
- შესრულების ტექნიკა:** თეთრი ქაბალდებები შემოხატეთ, დაახლოებით, 2 სმ დიამეტრის წრე. შემდეგ სთხოვეთ პაციენტს, საათის ციფერბლატის მსგავსად, წრეში განათავსოს ციფრები 1-დან 12-მდე.
- ტესტის შედეგების ინტერპრეტაცია:** დემენციური პაციენტები ვერ ახერხებენ ციფრების თანმიმდევრულ და სიმეტრიულად განლაგებას. ისინი ციფრებს უპირატესად მარჯვენა ნახევარში ათავსებენ. ტესტის შედეგების შეფასებისათვის საჭიროა წრე თოხ სექტორად გაიყოს. საუკეთესო შემთხვევაში, თითოეული სექტორი სამ ციფრს უნდა მოიცავდეს (12-დან 2-მდე, 3-დან 5-მდე და ა.შ). პირველ სამ სექტორში ციფრების განთავსების მიხედვით პაციენტმა შეიძლება მიიღოს 0 ქულა (რაც ნორმას ასახავს) ან 1 ქულა (ნორმიდან

ხანდაზმულებში შენთალური პრობლემების იდენტიფიცირებისა და მართვის გაიდლანი თჯახის ექიმებისათვის გადახრის მაჩვენებელია). მეოთხე სექტორი (9-11), რომელიც დემენციის ყველაზე მგრძნობიარე ინდიკატორია, ფასდება ან 0–ნორმის, ან 4 ქულით–პათოლოგიის შემთხვევაში. ქულათა მაქსიმალური რიცხვი 7-ია. თუკი ტესტის შედეგი უფოლდება ან აღემატება ოთხს, მაღალია დემენციის არსებობის ალბათობა. ხშირად დიაგნოსტიკური დირებულება აქვს მხოლოდ მეოთხე სექტორის მონაცემებს.

5. ტესტის დიაგნოსტიკური დირებულება დემენციის დიაგნოსტირებისას: **36**  
**მგრძნობელობა:** **87%**;  
**სპეციფიკურობა:** **82%**, თუმცა ტესტი არ იძლევა დემენციის სიმძიმის დადგენის საშუალებას.

დანართი 3

დეპრესიის გერიატრიული სკალა  
(დეპრესიის ეფანს ლიგერატულის სი-პუნქტიანი რეიტინგის სკალა)

შეკითხვები პაციენტებისათვის:

- ბოლო დროს ხომ არ გრძნობთ განსაკუთრებულ სევდას ან ხშირად ტირით?
- რას ფიქრობთ, როდესაც თქვენ თავს სხვა ხალხს ადარებთ? უფრო უკეთ გამოიყერებით, ვიდრე თქვენი ასაკის სხვა ადამიანები, უარესად, თუ ისევე, როგორც ისინი? (შეკითხვა დადებითად ფასდება, თუ პაციენტი თავის თავზე ცუდი წარმოდგენისაა)
- ხომ არ არის რაიმე, რაშიც თქვენ თავს ადანაშაულებთ ან ბრალს სდებთ? (შეკითხვა დადებითად ფასდება, თუ პაციენტს გაუმართლებლად უჩნდება დანაშაულის გრძნობა)
- განსაკუთრებით ბევრს ხომ არ ნერვიულობთ?
- გაქვთ თუ არა საკმარისი ენერგია იმისათვის, რომ გააკეთოთ ის, რისი გაკეთებაც გსურთ?
- კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით?
- როგორ ფიქრობთ, რას გიმჩადებთ მომავალი? (შეკითხვა დადებითად ფასდება, თუ პაციენტი პესიმისტურადაა განწყობილი)
- ხანდახან ხომ არ ფიქრობთ, რომ არ ღირს ცხოვრება?
- როდესმე ხომ არ გიგრძვნიათ, თითქოს ცოცხალი აღარა ხართ?
- ხომ არ გიფიქრიათ როდესმე, ვნება მიაყენოთ (ფიზიკური ზიანი) საკუთარ თავს?

შეკითხვები ახლობლების ან იმ პირებისათვის, რომლებიც პაციენტს უვლიან და მასთან ახლოს იმყოფებიან:

- უდილობს თუ არა პაციენტი სოციალურად იმოლირებული იყოს სხვა პირებისაგან?
- ხომ არ უჩივის პაციენტი მარგოობას (არ იგულისხმება ფიზიკური სიმარტოვე)?
- როგორ იკვებება პაციენტი- ხომ არ უკლო საკვების მიღებას ან ხომ არ დაიკლო წონაში (ცნობილი როგანული პათოლოგია არ აღინიშნება)?
- აქვს თუ არა პაციენტს ძილთან დაკავშირებული პრობლემები: უჭირს ჩაძინება, იღვიძებს აღრე დილით, იღებს საძილე საშუალებებს?
- გაღიბიანებული ხომ არ არის და მოუსვენრობა?

**ტესტის შედეგი 5-ზე ან 6-ზე მეტი განსაკუთრებული სპეციფიკურობითა და მგრძნობელობით ხასიათდება.**

**დეპრესიის გერიატრიული სკალის შემოკლებული ხუთ-პუნქტიანი ვარიანტი**

- ბოგადად, კმაყოფილი ხართ ცხოვრებით?
- ხშირად ხართ მოწყენილი?
- ხშირად გაქვთ უმწეობის განცდა?
- რას ამჯობინებთ-სახლში დარჩეთ, თუ გარეთ გახვიდეთ და რაიმე საინტერესო საქმით დაკავდეთ?
- ხომ არ გაქვთ განცდა-თითქოს აღარავის სჭირდებით?

**დეპრესიის აღნათობა მაღალია, თუკი პაციენტი უარყოფითად პასუხობს პირველ და დადებითად დანარჩენ თოს შეკითხვას.**

**თუკი პაციენტი დადებითად არ პასუხობს არც ერთ ან მსოლოდ ერთ შეკითხვას, დეპრესიაზე ფიქრი უსაფუძვლოა.**

**2 და მაღალი მაჩვენებელი საფარაუდოს ხდის დეპრესიის არსებობას.**

დანართი №4

## ხანდაზულებში დეპრესიის სამკურნალო ძირითადი პრეპარატები

პრეპარატი	მაქსიმალური საწყისი დოზა	სადღელამის თ დოზის დიაპაზონი <sup>32</sup>	სედაციის დოზე	ნახევარ დაშლის პერიოდი	შენიშვნები
<b>სეროტონინის უკუშთანთქმის სელექციური ინჰიბიტორები</b>					
ფლუოქსეტინი (პროზაქი)	5 მგ	20 მგ	ძალიან დაბალი	>30 სთ	აინჰიბიტებს დგიძლის ციტოქრომულ P-450
პაროქსეტინი (პაქსილი)	10 მგ	10–40 მგ	ძალიან დაბალი	20–30 სთ	აინჰიბიტებს დგიძლის ციტოქრომულ P-450 გააჩნია ანტიიოდინერგული მოქმედება
სერტრალინი (ზოლოფტი)	25 მგ	50–100 მგ	ძალიან დაბალი	>30 სთ	ციტოქრომ P-450-ის ნაკლები ინჰიბიცია
<b>სეროტონინ-ნორადრენალინის უკუშთანთქმის ბლოკერები</b>					
გენდაფაქსინი* (ეფექსორი)	25 მგ	75–100 მგ	ძალიან დაბალი	8–20 სთ	თარგმლის ან დგიძლის დაავადებებისას მცირდება პრეპარატის კლინიკა, შეიძლება განვითარდეს დოზაზე დამოკიდებული პიპერტენზია
<b>ტრიციკლიური ანტიდეპრესანტები</b>					
იმიპრამინი (ტორფანილი)	10 მგ	30–40 მგ	ზომიერი	20–30 სთ	ანტიქოლინერგული მოქმედების გამო ნაჩვენებია შარდის შეუკავებლობის დროს
ნორტრიამტილინი (პამელორი)	10 მგ	30–40 მგ	ზომიერი	20–30 სთ	ზომიერი ანტიქოლინერგული მოქმედება
<b>სხვა პრეპარატები</b>					
ბუპოპრიოთინი (კელბუტრინი)	50–100 მგ	150–400 მგ	ზომიერი	8–20 სთ	—
ნეფაზოდონი (სერზონი)	100 მგ	200–400 მგ	ზომიერი	<8 სთ	წინააღმდეგნაჩვენებია ტერფენაბინთან, ასტემიზოლთან და ციპრაზიდთან ერთად დანიშვნა

\* ამქამად, პრაქტიკულად არ შემოდის საქართველოს ფარმაკოლოგიურ ბაზარზე

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. C.Eliopoulos., Gerontological Nursing., Second Edition., 1987.
2. G.K. Wilcock, J.A.M. Gray and J.M. Longmore., Geriatric problems in general practice., Second Edition., 1995
3. Evans L.K, 1987; Bachman D.L., Wolf PA., Linn R. et al., 1992
4. Fredrick T. Sherman, Easy-to-use screening tools speed initial office work-up., Geriatrics, August, 2001
5. გაიანე სიმონია, არინა ანდრონიკაშვილი, კლინიკური გერიატრია., 2001
6. Diagnostic and statistical manual of mental disorders. 4th ed. Washington, D.C.: American Psychiatric Association, 1994:124-55,339-50.
7. Jorm AF, Korten AE, Henderson AS. The prevalence of dementia: a quantitative integration of the literature. *Acta Psychiatr Scand* 1987;76:465-79.
8. Ham RJ. Confusion, dementia and delirium. In: Ham RJ, Sloane PD, eds. Primary care geriatrics: a case-based approach. 3d ed. St. Louis: Mosby, 1997:106-7.
9. Panisset M, Stem Y. Gauthier S., eds. Clinical diagnosis and management of Alzheimer's disease. 1<sup>st</sup> ed. London:Dunitz, 1996; chapter 8:129-139
10. Folstein MF, Folstein SE, McHugh PR. "Mini-mental state": a practical method for grading the cognitive state of patients for the clinician. *J Psychiatr Res* 1975;12:189-98.
11. Wells CE. Pseudodementia. *Am J Psychiatry* 1979; 136:895-900.
12. Roses AD. Alzheimer's disease: the genetics of risk. *Hosp Pract [Off Ed]* 1997;32(7):51-5,58-63,67-9.
13. Levkoff S, Cleary P. Epidemiology of delirium: an overview of research issues and findings. *Int Psychogeriatrics* 1991; 3(2):149-167
14. American Psychiatric Association: Diagnostic and Statistical Manual of Mental Disorders, fourth edition. Washington, D.C., American Psychiatric Association, 1994.
15. Jitapunkul S, Pillay I, Ebrahim S. The abbreviated mental test: its use and validity. *Age and Aging*; 1991;20:332-336
- 16 .Anthony JC, LeResche L, Niaz V, Von Korff MR, Folstein MF. Limits of the "MMSE" as a screening test for dementia and delirium among hospital patients. *Psychol Med* 1982; 12:397-408
- 17 .O'keeffe ST, Lavan JN. Use of serial MMSE scores to monitor development and resolution of delirium in elderly hospital patients. Abstract to Autumn Meeting of the British Geriatrics Society, October 1995.
18. Koponen H, Hurri L, Stenback U, Reikkinen PJ. Acute confusional states in the elderly: A radiological evaluation. *Acta Psych Scand* 1987;76:726-731
19. Levkoff SE, Safran C, Cleary PD, Gallop J, Phillips RS. Identification of factors associated with the diagnosis of delirium in elderly hospitalised patients. *JAGS* 1988; 36:1099-1104
20. Pompei P, Foreman M, Rudberg MA, Inouye SK, Braund V, Cassel CK. Delirium in hospitalized older persons:outcomes and predictors. *JAGS* 1994;42:809-815.
21. Gustafson Y, Brannstrom B, Berggren D, Ragnarsson JI, Sigaard J, Bucht G, Reiz S, Norberg A, Winblad B. A geriatric-anesthesiologic program to reduce acute confusional states in elderly patients treated with femoral neck fractures. *JAGS* 1991;39:655-662.
22. Inouye SK, Wagner DR, Acampora D, Horowitz RI, Cooney LM, Tinetti ME. A controlled trial of a nursing-centred intervention in hospitalized elderly medical patients: the Yale Geriatric care Program. *JAGS* 1993;41:1353-1360
23. Inouye SK, Bogardus ST, Charpentier PA, Leo-Summers L, Acompora D, Holford TR and Cooney LM. A multi-component intervention to prevent delirium in hospitalised older patients. *NEJM* 1999; 340:669-676
- 24 .Koizumi K, Shiraishi H, Ofuku K, Suzuki T. Duration of delirium shortened by the correction electrolyte imbalance. *Japanese J of Psychiatry and Neurology* 1988;42(1):81-88
25. Liptzin B, Levkoff SE. An empirical study of delirium subtypes. *B J Psych* 1992;161:843-845.
26. Lofgren RP, MacPherson DS, Granieri R, Myllenbeck S, Sprafka J. Mechanical restraints on the medical wards: are protective devices safe? *Am J Public Health* 1989;79(6):735-738.
27. Beekman ATF, Copeland JRM, Prince MJ. Review of community prevalence of depression in later life. *Br J Psychiatry* 1999; 174:307-11
28. Ben Green, Psychiatry in General Practce., UK., 1994
29. Reynolds CF, Zubenko GS, Pollock BG, et al. Depression in late life. *Curr Opin Psychiatry* 1994; 17:1821.
30. L. Smeeth, Astrid E Fletcher, S. Stirling, M. Nunes, E. Breeze; Randomised comparison of tree methods of administering a screening questionnaire to elderly people: findings from the MRC trial of assessment and management of older people in the community, *BMJ* 2001; 323:1403
31. Hoyl MT, Alessi CA, Harker JO, et al. Development and testing of five-item version of the Geriatric Depression Scale. *J Am Geriatr Soc* 1999; 47(7):873-8

32. Bruce Pollock, MD, by Marc E. Weksler, MD., Clinical update: How to recognize and treat depression in older patients. Geriatrics., January 2000.
33. Pollock BG. Adverse reactions of antidepressants in elderly patients. J Clin Psychiatry 1999; 60(Suppl. 20):4-8.
34. Siu AL. Screening for dementia and investigating its causes. Ann Intern Med 1991; 115(2):122-32
35. Morris JC, Heyman A, Mohs RC, et al. The Consortium to Establish a Registry for Alzheimers Disease (CERAD). Part I. Clinical and neuropsychological assessment of Alzheimer's disease. Neurology 1989; 39 (9):1159-65
36. Watson YI, Arfken CL, Birge SJ. Clock completion: An objective screening test for dementia. J Am Geriatric Soc 1993; 41(11):1235-40